სარბიელი

სპორტული გაზეთი სამშაბათი 1 აპრილი 2008 №072 (3296) ფასი 50 თეთრი



დავით ძაძაგაძე საგანგებოდ „სარბიელისთვის“ პრაღიდან

რა იკითხება ყურმილში: ტოპმიოლერა დასრულდა!



დღეს და საბოლოოდ: ფრანკფურტში სათქმელი ითქმება

ჩეხეთთანაც რუსი იყო საფინალი

ჩეხები უპირობო აუტსაიდერები კი იყვნენ, მაგრამ კარგად იცოდნენ, ქართველები გვარიანად შესუსტებული შემადგენლობით რომ თამაშობდნენ და იმედად ეს ჰქონდათ, ეგებ ვიჯარგებლოთ და ერთა თასის ჯგუფიდან უკვე გავარდნილებმა კარი გავიჯახუნოთო.

თამაშზე კი პრაღის მთელი ქართველობა შეიკრიბა და ჩეხები გულშემატკივრობაშიც დავჯაბნეთ.

ჩვენებმა კარგად ვერ ითამაშეს, მაგრამ ისიც არის, რომ ჩეხებთან საბრძოლველად გასულები, ცალკე ხომ შესუსტებული შემადგენლობით იყვნენ და თან უკვე რუსეთთან ფინალის ტოლფას თამაშზე ფიქრობდნენ, რაც ნამატჩევს ჩვენმა მორაგბეებმა აღიარეს კიდეც.

იხილეთ მე-13 გვერდი

თემურ ქეცბაია: ტოპმიოლერი მაშინ იყო გასაშვები, როცა მუნდიალზე გავყავდით



წარმოვიდგინე, ულაუს ტოპმიოლერს რომ ეთქვა, ამას აქ რა უნდაო და მე რა პასუხს გავცემდი?! ჭკუიდან შევიშლებოდი! ახალგაცი თურმე ისე მთავაზობდა თანაშემწეობას, ტოპმიოლერს არაფერი სცოდნია. საინტერესოა, რა უფლებით შემომთავაზა, თუ ტოპმიოლერთან არ ჰქონდა შეთანხმებული...

პორტუ გალიაში?!

ახალი სეანდალი: „პორტუს“ მატჩების გარიგებაში ედება ბრალი და თუ დაუმტკიცდა, პორტუგალიის მეორე დივიზიონში დაქვეითება და უზარმაზარი ჯარიმის გადახდა დაეკისრება, ხოლო ულუბის პრეზიდენტ ჟორჟე პინტუ და ჯოშტას ორიდან ათ წლამდე ციხე ემუქრება ჯორუფციულ გარიგებაში მონაწილეობისთვის...

ლაპარაკია 2003-2004 წლების სეზონის ორ მატჩზე: „ამადორასთან“ და „ბეირა მართან“. და რაკი სეზონიც დასახელებულია, გაგახსენდებოდათ, რომ სწორედ იმ სეზონში „პორტუმ“ ქვეყნის ჩემპიონობის გარდა ჩემპიონთა ლიგაც მოიგო და მისი მწვრთნელი ჟოზე მაურინიუ გახლდათ...

ეს ამბავი კი ძალიან ჰგავს 1993 წელს ჩემპიონთა თასის მომგები სხვა ულუბისა და მისი პრეზიდენტის – ფრანგული „მარსელისა“ და ბერნარ ტაპის ამბავს.

რა იკითხება ყურმილში: ტოპმიოლერა დასრულდა!

ვისთვისაც ქართულ სანაკრებო ფეხბურთში ბოლო დღეებში დატრიალებული ამბები ცნობილია, ისიც იცის, რაოდენი მნიშვნელობა ჰქონდა გუშინდელ დღეს. გუშინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელები ფრანკფურტში ნაკრების მთავარ მწვრთნელ კლაუს ტოპმიოლერს შეხვდნენ და ამ შეხვედრაზე მთავარი საკითხი უნდა გადაწყვეტილიყო — რჩება თუ არა ტოპმიოლერი ნაკრების სათავეში.

აქვე ვთქვათ: ეს კითხვა ჯერაც უპასუხოა და, სავარაუდოდ, პასუხი დღეს საღამოს გვექნება. ოღონდ ეს არ ნიშნავს, რომ გუშინდელი შეხვედრა უმნიშვნელო იყო.

თუმცა, ზოგადი ლაპარაკი რომ არ გაგვიგრძელდეს, სჯობს, ჯერ მხარეთა კომენტარებს გავეცნოთ და დასკვნების გამოტანას მერე შევეცადოთ.

კლაუს ტოპმიოლერს ჩვენი დროით დაახლოებით 21.30 საათზე რომ დაურეკეთ, გვითხრა, ახლაც შეხვედრაზე ვარ და ცოტა ხანში დამირეკეთო. საღამოს 10 საათისთვის კი, შეხვედრის დასრულებისთანავე, ეს გვითხრა: „დღეს კონკრეტულად ვერაფერს გეტყვით. ვისაუბრეთ, მაგრამ ჯერ არაფერზე მოგვილაპარაკებია. ისე, ამწუთასაც ნოდარ ახალკაცთან ერთად ვარ. საუბარს ხვალ გავაგრძელებთ და იმედი მაქვს, საბოლოოდ შევთანხმდებით, მომავალში რა და როგორ იქნება...

მხოლოდ ამის მერე შემეძლება, თქვენს კითხვებს ამომწურავად ვუპასუხო“.

ჩვენ ერთს დავძენთ, რომ ამ კომენტარის გაკეთებისას, როგორც მოგვეჩვენა, კლაუს ტოპმიოლერს საკმაოდ გადაღლილი თუ დაღონებული ხმა ჰქონდა.

ცხადია, გერმანელი მწვრთნელის ეს კომენტარი ვერ დაგვაკმაყოფილებდა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ *ნოდარ ახალკაცს* დავურეკეთ: „დღეს ძალიან საინტერესო და ხანგრძლივი შეხვედრა გვქონდა. ჩვენც და კლაუს ტოპმიოლერიც სრულად ვართ ინფორმირებულნი საქართველოში არსებულ საზოგადოებრივ აზრზე და ამასთანავე ვთვლით, რომ საბოლოო გადაწყვეტილება, როგორიც უნდა იყოს, რა თქმა უნდა, ქართული ფეხბურთის საკეთილდღეოდ უნდა მივიღოთ...

...აბსოლუტურად ყველა საჭირბოროტო საკითხს შევეხეთ და ამასთანავე, ეს არ ყოფილა მოსარჩლის და მოპასუხის საუბარი...

...ისიც მინდა ვთქვა, რომ როგორიც არ უნდა იყოს საბოლოო გადაწყვეტილება, პროცედურული ნორმების დაცვაა საჭირო და ბოლოს ფედერაციის აღმასკომზე უნდა დამტკიცდეს...

საუბარს ხვალ, დღის მეორე ნახევარში განვაგრძობთ და ალბათ დღის ბოლოს კონკრეტული შეთანხმებაც გვექნება. ამის მერე აღმასკომი შეიკრიბება და ისევ და ისევ, პროცედურული ნორმების დაცვით, საბოლოო გადაწყვეტილებას მივიღებთ“.

ნოდარ ახალკაცის ამ კომენტარიდან კი, დაგვეთანხმებით, ნათლად ჩანს, რომ ნაკრების ჯერაც თავკაც კლაუს ტოპმიოლერს უფრო მოხსნიან, ვიდრე დატოვებენ...

გიორგი დარჯანია

კალა და კომპანია დაიწყო



საქართველოს ეროვნული ნაკრების კაპიტანმა და იტალიური „მილანის“ მცველმა კახა კალაძემ და საქართველოს ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა ერთობლივი ბიზნეს-პროექტის „კალა კაპიტალის“ პრეზენტაცია მოაწყვეს.

ბიზნეს-ჯგუფი უცხოური და ქართული კაპიტალით დაფინანსდება და ინვესტიციას სამ სფეროში: ენერგეტიკაში, უძრავ ქონებასა და საბანკო პროექტებში ჩადებს.

ახალი ბანკი „პროგრეს ბანკი“ კი სექტემბრიდან გაიხსნება.

ჰიდროენერგეტიკაში „კალა კაპიტალი“ რამდენიმე შიმართულებით იმუშავებს: ჰესების მშენებლობა, ნავთობმოპოვებითი საქმიანობა, ალტერნატიური ენერგიის წყაროების ათვისება.

„კალა კაპიტალის“ ყველაზე მასშტაბური პროექტია „არსენალი“, რომელიც 10 წელიწადში 80 ჰექტარ ფართობზე მინი-ქალაქის მშენებლობას ითვალისწინებს. პროექტის განხორციელებისთვის „კალა კაპიტალი“ 1,5 მილიარდი დოლარის ინვესტიციას მოიზიდავს.

„კალა კაპიტალის“ მორიგი პრეზენტაცია 3 აპრილს იტალიაში იგეგმება.

კახა შალამბერიძე

მეგრელაძის წაქცევა სამკვირიანი გამოდგა

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის მე-19 ტურში, „ბორჯომი“ — „ვიტ ჯორჯიას“ მატჩისას კურორტელთა თავდამსხმელი გიორგი მეგრელაძე მეკარესთან პირისპირ გადიოდა, მაგრამ მოულოდნელად წაიქცა და...

როგორც შემდგომ გაირკვა, მეგრელაძემ ტრავმა მიიღო და შესაცვლელი შეიქნა. ტრავმა კი, მისდა სამწუხაროდ, არც თუ მცირეხნიანი აღმოჩნდა.

„კუნთი გაწყვეტილი არ არის — დაჭიმულია. ამ მხრივ კი გამიმართლა, თუმცა სამი კვირა მაინც მომიწევს დასვენება“ — გვითხრა გუშინ მეგრელაძემ.

მიხეილ ჟორჟოლიანი

გია გრიგალავას საქართველო უნდა

როსტოვის სკა-ში მოთამაშე გია გრიგალავას რუსეთში ერთ-ერთ პერსპექტიულ მცველად თვლიან. მართალია, იგი პირველი დივიზიონის გუნდში თამაშობს, შანსი იყო, მოსკოვის „სპარტაკში“ აეყვანათ.

გრიგალავა 18 წლისაა და მისი ნათესავებისგან შევიტყვეთ, რომ საქართველოს ნაკრებში თამაში სურს, თანაც, ამის უფლება აქვს, რაკიდა რუსეთის ასაკობრივ ნაკრებში მხოლოდ ამხანაგურ შეხვედრებში უბურთავია.

ის წარსულში ქართველი მორაგბის, ქუთაისის აია-ში მოთამაშე ალექსანდრე გრიგალავას ვაჟია. გია მეორე კლასში იყო, როცა მისი ოჯახი როსტოვში გადავიდა საცხოვრებლად, თუმც 18 წლის ქართველი, ვისაც მხოლოდ რუსეთის მოქალაქეობა აქვს (იმედია, ჯერჯერობით), მშობლიურ მარტვილში ნადის ხოლმე არდადეგებზე და ამასწინათ ცოტა ხანს მარტვილის „მერანში“ ვარჯიშობდა კიდეც.

გრიგალავა ამჟამად ტრავმის გამო ვერ თამაშობს სკა-ში — გერმანიაში იყო სამკურნალოდ.

ვნახოთ, ამ ბიჭს საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრების მწვრთნელი პეტარ სერგტი თუ მიაქცევს ყურადღებას..

ილია ნანოგაშვილი

მეორე ბაქოური მარცხი

საქართველოს ფუტსალის ახალგაზრდულმა ნაკრებმა მეორე ამხანაგური მატჩიც წააგო ბაქოში მასპინძელთა ახალგაზრდულ ნაკრებთან — ამჯერად 6:9.

ქართველთაგან სამი გოლი გაიტანა კობიძემ (მე-3, მე-14 და 39-ე წუთებზე), დუბლი შეასრულა ნამორაძემ (22, 24), ერთი გოლი კი წერედიანმა შეაგდო (30).

საქართველოს ნაკრებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშა: *ქეფაშვილი, ნამორაძე, კობიძე, წერედიანი, ჭოხონელიძე.*

შეცვლაზე შევიდნენ: ზუმბაძე, მაისაია, წინწკალაძე, მუძლაძე, ვეშჭკორი, წამალაშვილი.

შეგახსენებთ, რომ პირველ მატჩში აზერბაიჯანელებმა საქართველოს 5:2 აჯობეს.

კახა შალამბერიძე

ინგლისი
კონფერენსლიგა. XLI ტური
ფორესტ გრინი 3:1 ბარტონი

იტალია
სერია CVB
XXIX ტური
პესკარა 1:0 კროტონე

გერმანია
II ბუნდესლიგა. XXVI ტური
ოსნაბრიუკი 2:0 ლაუტერნი

შვედეთი
ალსვენსკა. I ტური
ლიუნგსკილე 0:1 ჰამარბი
იორებრო 1:0 ტრელებორგი
სუნდსვალი 0:3 ჰელსინგბორგი
მალმიო 1:1 გიოტებორგი

პორტუგალია
სუპერლიგა
XXIV ტური
სეტუბალი 3:1 ბოავიშტა

დანია
სუპერლიგა. XXII ტური
ვიბორგი 2:3 კოპენჰაგენი

ნორვეგია
ტიპელიგა. I ტური
რუსენბორგი 2:1 ლინი

შვეიცარია
ჩელენჯლიგა. XXVI ტური
შაფჰაუზენი 1:3 ბოსაუ

ჩეხეთი
გამბრინუს ლიგა. XXIII ტური
სლავია 1:1 სპარტა

უკრაინა
ვიშა ლიგა. XXIII ტური
დნიპრო 1:0 ვორსკლა

საფრანგეთი
I დივიზიონი. XXXI ტური
მონაკო 1:2 რენი
II დივიზიონი. XXX ტური
ტრუა 0:2 ნანტი

კიდევ კარგი, ბელფასტში არ ჩავედი, თორემ ძალიან ცუდი რამ მოხდებოდა



რამდენიმე დღის წინ საქართველოს ნაკრები ბელფასტში 1:4 განადგურდა ჩრდილოეთ ირლანდიასთან. ბუნებრივია, ამ მარცხით კმაყოფილი ვერავინ დარჩებოდა და ქართველ ქომაგთა დიდი ნაწილი კლაუს ტოპმიოლერის მოხსნას ითხოვს. გერმანელ მწვრთნელს კი თავისი პრეტენზიები აქვს — კარგა ხანია, კუთვნილი ხელფასი არ ამიღია და ფიფაში ჩივილსაც ვაპირებო. კიდევ ერთმა საკითხმა შექმნა გაუგებრობა — როგორც ჩანს, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ნოდარ ახალკაცმა თემურ ქეცბაიას ნაკრების მთავარი მწვრთნელის თანაშემწეობა ისე შესთავაზა, რომ ტოპმიოლერმა ამის თაობაზე არაფერი იცოდა. საინტერესოა, ამ და სხვა აქტუალურ საკითხზე რას ფიქრობს თავად

თემურ ქეცბაია,

რომელსაც კვიპროსზე შევეხმიანეთ...

თემურ ქეცბაია: ტოპმიოლერი მაშინ იყო გასაშვები, როცა მუნდიალზე გავყავდით

— საქართველოს ნაკრებმა კიდევ ერთი მარცხი იწვნია — ბელფასტში ჩრდილოეთ ირლანდიასთან შერცხვა. თავიდან ითქვა, რომ ბელფასტში თქვენც უნდა ჩასულიყავით და ფედერაციის ხელმძღვანელებს შეხვედროდით. რატომ არ ჩახვედით?

— კიდევ კარგი, რომ არ ჩავედი, თორემ ძალიან ცუდი რამ მოხდებოდა. წარმოვიდგინე, ტოპმიოლერს რომ ეთქვა, ამას აქ რა უნდაო და მე რა პასუხს გავცემდი?! ჭკუიდან შევიშლებოდი! ახალკაცი თურმე ისე მთავაზობდა თანაშემწეობას, ტოპმიოლერს არაფერი სცოდნია. საინტერესოა, რა უფლებით შემომთავაზა, თუ ტოპმიოლერთან არ ჰქონდა შეთანხმებული...

— მას შემდეგ ზთმ არ გქონიათ საუბარი ახალკაცთან?

— ბოლოს დამირეკა და მთხოვა, ბელფასტში ჩავსულიყავი, კვიპროსის ვიზას ვერ ვიღებო. ეგ იყო და ეგ, მეტი საუბარი მასთან არ მქონია.

— თამაში ტელევიზიით მაინც თუ ნახე?

— მხოლოდ გოლები ვნახე, პირდაპირი ტრანსლაცია არ იყო. ელემენტარული შეცდომების გამო გავუშვით გოლები — ასეთებს ამბიციური გუნდი არ უნდა უშვებდეს.

— შესაძლოა, ტოპმიოლერი საქართველოს ნაკრების მწვრთნელობიდან მოხსნან. თქვენ რას ფიქრობთ?

— თავიდან რომ მოიყვანეს ტოპმიოლერი, მეგონა, ქართველ თანაშემწეს დაუნიშნავდნენ, რომელიც გერმანელისგან რაღაცას ისწავლიდა, თუმც ასე არ მოხდა. მან თავისი გუნდი ჩამოიყვანა. შესარჩევი ციკლი ჩვენმა ნაკრებმა ბოლოსწინა საფეხურზე დაამთავრა. კიდევ კარგი, ფარერები იყო ჩვენს ჯგუფში, თორემ ბოლოზე გავიდოდით. ტოპმიოლერი კვალიფიციური მწვრთნელია, მაგრამ მისი მუშაობა შედეგით ფასდება. ფედერაციის საქმეა — თუ მოსწონს ის, რაც მიიღეთ, გაუგრძელონ კონტრაქტი. ტოპმიოლერი ფიქრობს, ეს რა კარგ ქვეყანაში მოვხვდიო, ასე მუქთად მას ფული არსად უშოვნია და რატომ წავა?!

— ტოპმიოლერის მოსვლის დღიდან რა დაინახეთ ჩვენი ნაკრების თამაშში დადებითი?

— თამაშის ხარისხი ძალიან დაბალია. შეიძლება, მატჩი წააგო, მაგრამ ხალხმა ტაში დაგიკრას... საოცარია ერთი რამე — ნაკრებში გასაზრდელ ფეხბურთელს კი არ უნდა უხმო, იქ მზა ფეხბურთელი უნდა მოდიოდეს. ბავშვი კი გასაზრდელია — ამას გიორგი მაკარიძეზე ვამბობ. საქართველოს ჩემპიონატშიც არ თამაშობს და ეროვნული ნაკრების კარს რომ ანდობ, ეს არსად ხდება. მე რომ ნაკრებში ვთამაშობდი, სათამაშო პრაქტიკის არმქონე ფეხბურთელებს მაშინაც იძახებდნენ, თუმცა ისინი მაღალი დონის კლუბებში მაინც ვარჯიშობდნენ და მათ გამოცდილებაც უმაგრებდათ ზურგს.

— ნაკრებს აშკარად ეტყობა, რომ შიდა სამზარეულოშიცაა პრობლემა...

— ფეხბურთის ფედერაცია, მწვრთნელები და ფეხბურთელები უნდა დასხდნენ და გაარკვიონ, შიგნით რა ხდება. ფეხბურთელებმა უნდა გააანალიზონ თამაშები, ლატვიასთან, ლიტვასთან და ჩრდილოეთ ირლანდიასთან. ასე როგორ უნდა წააგო?! ფეხბურთელს თვითკრიტიკა უნდა შეეძლოს. და კიდევ, მე რომ მწვრთნელი ვარ და ნაკრებში დაგიძახებ, კი არ უნდა გეხვეწო, ჩამოდი ითამაშეო, ნაკრების ყველა თამაში ფეხბურთელისთვის ზეიმი უნდა იყოს — ფეხი კი არ უნდა აიტკივო და ათასი მიზეზი მოძებნო არჩამოსასვლელად.

— როგორ ფიქრობთ, ჩვენს ნაკრებს აქვს შანსი მომავალ შესარჩევში წარმატებით ითამაშოს?

— რეალისტები უნდა ვიყოთ. ნაკრებში 4-5 ფეხბურთელი გვყავს, რომელთაც კლასს ვერ დაუწუნებ. საქართველოს ჩემპიონატი ძალიან დაბალი დონისაა. კი არიან კარგი ფეხბურთელები, მაგრამ ეროვნული ნაკრების დონეს არ შეეფერებიან. პირველ რიგში საქართველოს ჩემპიონატს უნდა მიექცეს ყურადღება. რამდენიმე ფეხბურთელით ფონს ვერ გახვალ. ტოპმიოლერმა რომ თქვა, მსოფლიოს ჩემპიონატზე გაგიყვანთო, მაშინ უნდა გაეშვათ ის საქართველოდან. ასეთი არასერიოზული განცხადების გაკეთება როგორ შეიძლება?! ეს ფეხბურთია. კვიპროსის ჩემპიონატში 5 თამაში დარჩა და 9 ქულით ვუსწრებთ უახლოეს მდევარს, მაგრამ ერთხელაც არ მითქვამს, რომ „ანართოსისი" უკვე ჩემპიონია... ძალიან ძლიერ ჯგუფში ვართ. ჩერნოგორიის და კვიპროსის ნაკრებები ხელწამოსაკრავი არავის ეგონოს, ბულგარეთზე და ირლანდიაზე რომ აღარაფერი ვთქვა. იტალია კი ფავორიტია. მთავარი ის კი არ არის, რას ოცნებობ, მთავარია, რეალურად რა შეგიძლია. მე ვერ ვხედავ მიზეზს, რატომ უნდა დარჩეს ტოპმიოლერი, ამაზე უარესი შედეგი, ვინც უნდა მოიყვანონ, მაინც არ ექნება. საკვირველი კი ისაა, რომ მიდის მსჯელობა, დატოვონ თუ არა. მე მგონია, რომ მას უკვე გაგრძელებული აქვს კონტრაქტი 2010 წლამდე და ფედერაციას ახლა აღარ სურს მასთან მუშაობა — ბოლო დროს განვითარებული მოვლენებიდან ასე ჩანს.

— ვთქვათ, გაუშვეს ტოპმიოლერი...

— ამ ნაკრებს გაცილებით უკეთესად შეუძლია თამაში, ვიდრე ამას ტოპმიოლერის ხელში ახერხებს. მთავარია, რეალურად შევხედოთ ყველაფერს. ინგლისის ნაკრები ვერ გავიდა ევროპის ჩემპიონატზე, არადა, პრემიერლიგა საუკეთესოა მსოფლიოში, მაგრამ ეს ფეხბურთია და იქ ტრაგედია არ შეუქმნიათ. ჩვენთვის მთავარია, სწორი მიმართულებით წავიდეთ და წინ გავიხედოთ. თუ ასე ვივლით, შედეგიც მოვა, სხვაგვარად არაფერი გამოვა!

ნუკრი ლოლაძე

მუჯირი მოსკოვში ბელფასტმა არ ათამაშა

მოსკოვის „ლოკომოტივმა" რუსეთის პრემიერლიგაში პირველი გამარჯვება მოიპოვა.

სამარის „კრილია სოვეტოვთან" (2:0) მალხაზ ასათიანის უთამაშებლობა ტრავმით იყო გამოწვეული — „ასკამ" ახლახან დაიწყო ვარჯიში გუნდთან ერთად. ყოფილი გუნდის წინააღმდეგ განაცხადში არ იყო დავით მუჯირიც.

„საქართველოს ნაკრებთან ერთად ჩრდილოეთ ირლანდიაში ვიმყოფებოდი. ეტყობა, იქ რაღაც ვირუსი შემეყარა — სამი დღე მაღალი სიცხეები მქონდა და არ მივარჯიშია. „კრილიასთან" მატჩის წინ გუნდის ექიმსა და მწვრთნელს მოვეთათბირე და ერთად გადავწყიტეთ, რომ უკეთესი იქნებოდა, თუ არ ვითამაშებდი" — განუცხადა ჟურნალისტებს მუჯირმა.

მიხეილ ჟორჟოლიანი

საქართველოს ჩემპიონატი პირველი ლიგა

მეოცე ტური

აღმოსავლეთი

ჩიხურა 3:1 ოლიმპიკი
ნ.დინ-მერანი 2 0:0 დინამო 2
კახეთი 0:1 ოლიმპი 2
ვიტ ჯორჯია 2 1:0 ამერი 2
მეშაქრე 2:1 გაგრა

დინამო 2	20	11	6	3	29:14	39
მეშაქრე	20	10	6	4	29:18	36
გაგრა	20	10	5	5	39:32	35
ვიტ ჯორჯია 2	20	10	5	5	29:15	35
ჩიხურა	20	9	6	5	32:26	33
ოლიმპი 2	20	8	6	6	27:20	30
კახეთი	20	7	4	9	29:31	25
ამერი 2	20	7	2	11	30:34	23
ოლიმპიკი	20	3	4	13	24:42	13
ნ.დინ-მერანი 2	20	0	6	14	17:53	6

დასავლეთი

ხობი 3:0 კოლხეთი
უნივერსიტეტი 0:1 სამტრედია
მეშახტე 0:0 ტორპედო
მაღაროელი 3:0 ფაზისი
ზესტაფონი 2 1:0 მერანი (მ)

მაღაროელი	20	17	2	1	44:13	53
ზესტაფონი 2	20	11	2	7	32:18	35
მეშახტე	20	11	1	8	31:29	34
მერანი (მ)	20	10	4	6	26:17	34
ტორპედო	20	8	5	7	28:25	29
კოლხეთი	20	7	6	7	25:25	27
ხობი	20	7	5	8	26:24	26
უნივერსიტეტი	20	6	3	11	16:21	21
სამტრედია	20	4	4	12	22:43	16
ფაზისი	20	2	2	16	17:52	8

„ფაზისი" მოხსნილია გათამაშებიდან

საქართველოს 19 ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა
II წრე. 19 ტურ

თამაში 90-ე წუთის მერე იწყება...

ვიცით, რომ რაც უფრო ფინიშის სწორზე გავა ჩემპიონატი, მით უფრო დაიძაბება ნერვები; ვიცით, რომ 14 გუნდიდან უმეტესობა თითო ქულას ოქროდ აფასებს; ვიცით, რომ ძალიან მწარეა ბოლო წუთზე გადამწყვეტი გოლის გაშვება, მაგრამ... არ ვიცით, სად გადის გულშემატკივრების გაავების ზღვარი — ხომ არ შეიძლება, მეტოქეს იმიტომ აგინო, რომ მოულოდნელად წინააღმდეგობა გაგიწია?! ან მსაჯები მაშინ შეურაცხყო, როცა მოგინდება?!

მთლიანობაში, საინტერესო ტური გამოვიდა და მართალია, სამივე ლიდერის მოგებით ცხრილის ზედა ნაწილში გადანაცვლელები არ მომხდარა, ბევრიც აღარაფერი აკლდა. „დინამო", „ვიტ ჯორჯია", „ზესტაფონი" — ამ სამიდან ადვილად იმ გუნდმა იმარჯვა, ვისაც, ერთი შეხედვით, ყველაზე ძნელი თამაში ელოდა, აი, პირველ-მეორეადგილოსნებს კი ნერვები დააწყდათ და შეიძლება ითქვას, „ზღაპარში" მოიგეს.

შაბათს ვიტელები ბორჯომში 72-ე წუთამდე აგებდნენ და ბარაქალა მათ გამძლეობას, რომ მოატრიალეს თამაში: გადამწყვეტი ბურთი გიორგი ბერიაშვილმა ზედ მსაჯის საფინალო სასტვენის წინ შეაგდო და 24 საათით გაალიდერა თავისიანები.

„ბორჯომი" ის გუნდი აღარაა, პირველ წრეში რომ იყო. მათმა მწვრთნელმა ვლადიმერ ხაჩიძემ უკვე მერამდენედ დაიჩივლა, ერთ დღეში შექმნილი გუნდია (სიტყვა „ბანდაც" იხმარა) და უთამაშებელი გიორგი მეგრელაძე რომ პირველი კაცი იქნება, რომელ სიძლიერეზეა ლაპარაკი.

ხაჩიძის სიტყვებმა სამი წლის წინანდელი ქუთაისის „ტორპედო" გაგვახსენა, რომლის მსგავსად, ისინიც იშვიათად იკრიბებოდნენ, ერთად ვარჯიში თითქმის არ უწევდათ, მაგრამ „ტორპედომ" ბოლო ტურამდე იბრძოლა ჩემპიონობისთვის.

სატირალია, ასეთი ამბები რომ ხდება...

კვირას კი ზუგდიდის „მგლებს" „ვიტ ჯორჯიასთვის" საჩუქრის მირთმევამდე წამები დააკლდა. დუშან უჰრინის ბიჭებმა „ეროვნულზე" ხან საიდან უტრიალეს სტუმართა კარს, ხან საიდან, მაგრამ გოლს 93-ე წუთამდე ვერ ელირსნენ. ისევ „დინამოს" მშვენება გიორგი მერებაშვილმა იმარჯვა. საჯარიმოთი მოათვინიერა „მგლები", რომელსაც სატურნირო მოტივაცია თითქმის არ გააჩნია, მაგრამ იბრძოლა — აი, ეს მოგვწონს!

ბოლო წუთების დრამა გორშიც შედგა, სადაც რატი ალექსიძემ სასიცოცხლო ქულა მოუტანა „ლოკომოტივს" და „ლილას" ჭაობიდან ამოსვლის შანსი მოუსპო. ეს ალექსიძის მეორე ქულიანი გოლია და აღსანიშნავია, რომ კვლავ ვიტალი დარასელიას პასით შეაგდო — ექსდინამოური ტანდემი კვლავ მუშაობს.

სხვათა შორის, ამ მატჩში „ლილამ" ათტურიანი გვალვა შეწყვიტა — ქრისტეფორე შატაკიშვილმა 67-ე წუთზე გახსნა ანგარიში.

„ეროვნულზეც" და გორის „თეგზგზ ბურჯანაძეზეც" ის ვაი-ვაგლახი ვიხილეთ, თავში რომ ვახსენეთ: „დინამოს" ფანებმა ზუგდიდელი ფეხბურთელები ავინეს, გორელები კი გვერდით მსაჯ ბესიკ ჭიჭინაძესაც მისწვდნენ, ალექსიძემ თამაშგარედან გაიტანაო.

მოდით, თუ ფეხბურთი გვინდა, ასეთი გამოხტომები აღარ იყოს. თქვენ თვითონ არ დაიღალეთ?..

ახლა „ზესტაფონის" რუსთავულ ბლიც-კრიგზეც ვთქვათ: თემურ მახარაძის გუნდი მე-20 წუთზე უკვე 2:0 უგებდა ჩემპიონს, მოგვიანებით მესამეც შეაგდო და ამ სამიდან ორი ბრაზილიელმა ჟილვან ვიეირამ ჩაიწერა, ვინც წინა ტურში სულაც ჰეთ თრიქი მიითვალა. ლეგიონერიც ასეთი უნდა...

აღსანიშნავია, რომ ზუგდიდელებმა წლეულს — მესამედ და სეზონში მეოთხედ მოუგეს ოლიმპელებს, რომლებმაც საევროპო ოცნება დაამთავრეს.

იოლად მოიგო „ამერმაც" და მეოთხე ადგილზე დამკვიდრდა. „ყვითლებმა" სახიფათო ზონაში მყოფი „მერანი" ხუთი გოლით დასეტყვეს და აქედან, გიორგი დეკანოსიძის ცხრიანში გასროლილი უნდა გამოვარჩიოთ — შორიდან ასეთი გოლები იშვიათია ჩვენს ჩემპიონატში. მართალია, გიორგი ჩიხრაძის გუნდი ბოლო დროს ქულებს იშვიათად კარგავს, მაგრამ სასწაული უნდა მოხდეს, საევროთასო გზა ჩემპიონატიდან გაიკვალოს. „ამერის" საპრილო მიზანი საქართველოს თასის ნახევარფინალში „ბორჯომის" ძლევაა.

თამაში და საგოლე მომენტების კრებული ბოლნისში უნდა გენახათ. „სიონმა" 1:0 მოუგო ახალციხის „მესხეთს", არადა, ყველა ხიფათიდან ნახევარი მაინც რომ ხეირიანად დამთავრებულიყო, თორმეტ-ცამეტ გოლს მაინც ვიხილავდით. ორივე გუნდის მეკარემ, განსაკუთრებით კი, მესხთა გიორგი სომხიშვილმა, სასწაულები ჩაიდინეს.

აი, „ბათუმმა" მიჯრით მეორე გასვლითი მატჩი მოიგო და სახიფათო ზონიდან დასაძრომად 5 ქულაღა სჭირდება.

ზღვისპირელებმა ამჯერად ცხინვალის „სპარტაკი" (1:0) გაამწარეს, რომელსაც თავისი გასჭირვებია...

ილია ნანოგაშვილი

„დინამო" ისევ გიორგი მერებაშვილმა იხსნა

ბადრი ჯიბლაძის ფოტო

დილა 1:1 ლოკომოტივი
სიონი 1:0 მესხეთი
ოლიმპი 0:3 ზესტაფონი
მერანი 1:5 ამერი
ბორჯომი 1:2 ვიტ ჯორჯია
სპარტაკი 0:1 ბათუმი
დინამო 1:0 მგლები

დინამო	19	17	0	2	47:10	51
ვიტ ჯორჯია	19	16	1	2	37:10	49
ზესტაფონი	19	14	3	2	40:10	45
ამერი	19	11	2	6	34:21	35
ოლიმპი	19	9	4	6	17:15	31
ბორჯომი	19	8	4	7	25:22	28
მესხეთი	19	7	4	8	17:23	25
მგლები	19	7	3	9	16:20	24
სიონი	19	6	5	8	21:24	23
მერანი	19	5	1	13	11:32	16
სპარტაკი	19	4	4	11	8:21	16
ლოკომოტივი	19	3	5	11	11:25	14
ბათუმი	19	3	3	13	9:33	12
დილა	19	1	5	13	8:37	8

ბომბარდირები

12 - გ. მერებაშვილი	*დინამო*
11 - ჟ. ხუციშვილი	*დინამო*
9 - დ. ტატანაშვილი	*ამერი*
8 - გ. ნოდ. ჭელიძე	*ბათუმი*
ზ. იონანიძე	*ზესტაფონი*
ნ. გელაშვილი	*ზესტაფონი*
შ. ვეიერა	*ზესტაფონი*

მეოცე ტური

4 აპრილი, პარასკევი
ბათუმი – დინამო
ზესტაფონი – სიონი
ამერი – სპარტაკი
ლოკომოტივი – ოლიმპი
5 აპრილი, შაბათი
ვიტ ჯორჯია – მერანი
მესხეთი – ბორჯომი
მგლები – დილა

სიმბოლური ნაკრები



თქვენი ინტერვიუ

ლევან ყენიასთან

«შალკე» გელზენკირხენი, გერმანია

რუბრიკის მორიგ რესპონდენტ ლევან ყენიასთან კითხვები გამოგზავნეთ 1 აპრილის ჩათვლით. დაუსვით თქვენთვის საინტერესო კითხვა ქართული ფეხბურთის ერთ-ერთ იმედს და მიიღეთ პასუხები...

მოგვმართეთ ტელეფონი: 93 16 08; ელექტრონული ფოსტა: geo_geo_fan@hotmail.com

საქართველოს ნაკრების მარცხენაფლანგელმა დავით კვირკველიამ უკრაინის ჩემპიონატი რუსეთისაში გაცვალა და ალბათ არც ნანობს. ყაზანის „რუბინი“ სამი ტურის შემდეგ უდანაკარგოდ, ერთპიროვნულად ლიდერობს პრემიერლიგას. კვირკველიაც იოლად მოერგო გუნდს — პირველ ტურში საგოლე პასი მიითვალა, მესამეში „ზენიტთან“ (3:1) მოგებული მატჩის შემდეგ კი სააგენტო „კულიჩკიმ“ ტურის სიმბოლურ ნაკრებშიც შეიყვანა. კვირკველიას გუშინ ყაზანში შევეხმიანეთ — დათომ გვთხოვა, საქართველოს ნაკრებზე ნურაფერს მკითხავთო და ჩვენც სხვა რა გზა გვქონდა...

ოლონდ საქართველო არა
კვირკველია რუბინს მოერგო

— როგორ შეეგუე ახალ კლუბს და ჩემპიონატს?

— ნორმალურად, კარგი გუნდია, ჩემპიონატიც მაღალი დონისაა, ფეხბურთელებთანაც კარგი ურთიერთობა მაქვს. ადაპტაცია არ გამჭირვებია, პატარა ბავშვი არ ვარ, მაგრამ ნუკრი რევიშვილის და ლაშა სალუქვაძის აქ ყოფნა უფრო დამეხმარა — ერთად ვართ და ასე უკეთესია.

— უკრაინისა და რუსეთის ჩემპიონატებს შორის დიდი სხვაობაა?

— უზარმაზარი არა, მაგრამ სხვაობა არის. რუსეთში ითქმის ყველა გუნდი თანაბარია, 8-10 მაინც, უკრაინაში კი ასეთი ძლიერი სამი-ოთხი კლუბია.

— შენი სათამაშო სტილიდან გამომდინარე, რომელ ჩემპიონატში გერჩივნა თამაში?

— ადვილი არსად არ არის. სადაც ვითამაშებ, ბოლომდე უნდა დავიხარჯო.

— ეს რუსული პრესიდანაც ჩანს. „ზენიტთან“ მატჩის შემდეგ ერთერთმა ინტერნეტგამოცემამ ტურის სიმბოლურ ნაკრებში შეგიყვანა...

— „ზენიტს“ ამ წუთში რუსეთში პირველ გუნდად თვლიან, ქვეყნის ჩემპიონია. მასთან რომ სტუმრად მოიგებ და თან 0:1-ის შემდეგ, თავისთავად ჩანს, რომ ყველამ თავი დადო მოედანზე. მიხარია, რომ ჩემი თამაში ასე შეაფასეს.

— სამივე მატჩი მოიგეთ...

— კარგი დასაწყისია, ეს დადებით შეხტს მოგვცემს და კარგი იქნება, თუ მთელი ჩემპიონატის მანძილზე გაგვყვება.

— სავო მილოშევიჩი, გიოკდენიზ კარადენიზი, სერგეი რებროვი — ასეთი ფეხბურთელების შეძენის შემდეგ გუნდს დიდი ამბიციაც უნდა გააჩნდეს...

— ამბიცია, რა თქმა უნდა, არის. ესენი სამივე მაღალი კლასის ფეხბურთელია და კლუბმა იმიტომ შეიძინა, რომ მიზნის მისაღწევად სჭირდება.

— მათ რიცხვს კვირკველიაც მივათვალოთ?

— სახელით არა, ასეთი დონისთვის ჯერ არ მიმიღწევია, მაგრამ რადგან ამიყვანეს, გამოდის, გუნდს მეც ვჭირდები.

— უკვე სტანდარტულების შესრულებაც ჩაგაბარეს...

— ძირითადად ორნი ვართ, მე და ერთი არგენტინელი მცველი. თუ არ წამივა, მაშინ კრისტიან ანსალდი ასრულებს.

— ყოფილ გუნდში პენალტებსაც ურტყამდი, აქაც ხომ არ შემოგთავაზეს?

— კი, მაგრამ უარი ვთქვი. გუნდში მართლა სახელიანი ფეხბურთელები არიან და ამიტომ.

— კლუბის ხელმძღვანელობამ კონკრეტული მიზანი დაგისახათ?

— კონკრეტული მიზანი არ დაუსახავთ და ეს უფრო გვიადვილებს თამაშს. ფეხბურთელებიც ვხვდებით, რომ ამბიციური გუნდია და ყოველ მატჩში გამარჯვებისთვის ვიხარჯებით. ჯერ კარგად მივდივართ, დანარჩენი ღვთის ნებაა.

მიხეილ ჟორჟოლიანი

ნუკრი რევიშვილი მალე გაიქცევა

საქართველოს ნაკრების მეკარე ნუკრი რევიშვილი მენისკის ოპერაციის გამო ჯერაც უქმობს. მან ოპერაცია გერმანიაში გაიკეთა და იქაური ექიმების პროგრამით ახლა ყაზანში ვარჯიშობს.

„ველოსიპედი და აუზი — ასეთია ჯერჯერობით ჩემი ვარჯიშის გრაფიკი. ექიმებმა სპეციალური პროგრამა დამინიშნეს. მალე ძუნძულს დავიწყებ, 20 აპრილიდან კი შემიძლია, გუნდს შევუერთდე“ — გვითხრა რევიშვილმა, ვინც ამ რამდენიმე დღის წინ მოდელ თიკო ჩხეიძეზე დაქორწინდა.

მიხეილ ჟორჟოლიანი

ქართველები უცხოეთში

სახელი გვარი	გუნდი	სად	მეტოქე	წთ	შენიშვნა	თ	გ	ა
იტალია. სერია A								
კახა კალაძე	მილანი	შ	ატალანტა 1:2	45	შეცვლაზე ითამაშა	24	0	6
ლევან მჭედლიძე	ემპოლი	შ	სამპდორია 0:2	0	ტრავმირებულია	0	0	20
ინგლისი. პრემიერლიგა								
ზურაბ ხიზანიშვილი	ბლეკბერნი	ს	რედინგი 0:0	90	გააფრთხილეს	17	0	7
ავსტრია. მაქსიმუნდესლიგა								
გიორგი შაშიაშვილი	შტურმი	შ	აუსტრია 1:2	73	შეცვალეს	28	0	5
ავსტრია. ერსტელიგა								
მირზა ბუალავა	ლუშტენაუ	შ	შვადორფი 1:0	45	შეცვლაზე ითამაშა	5	0	2
გერმანია. ბუნდესლიგა								
ლევან კობიაშვილი	შალკე	ს	კარლსრუე 0:0	27	შეცვლაზე ითამაშა	11	1	3
ალექსანდრე იაშვილი	კარლსრუე	შ	შალკე 0:0	77	შეცვალეს	22	0	9
გერმანია. მეორე ბუნდესლიგა								
მათე ღვინიანიძე	მიუნხენ 1860	შ	კარლ ცაისი 1:2	0	ტრავმირებულია	13	0	9
ოთარ ხიზანეიშვილი	ფრაიბურგი	ს	აუე 2:2	0	განაცხადში არ იყო	2	0	5
გიორგი ონიანი	კარლ ცაისი	ს	მიუნხენ 1860 2:1	7	შეცვლაზე ითამაშა	10	0	17
ილია კანდელაკი	კარლ ცაისი	ს	მიუნხენ 1860 2:1	90	საგოლე პასი	12	0	17
გიორგი სეთურიძე	კარლ ცაისი	ს	მიუნხენ 1860 2:1	0	სათადარიგო	0	0	17
ესპანეთი. პრიმერადივიზიონი								
შოთა არველაძე	ლევანტე	ს	ალმერია 1:2	0	განაცხადში არ იყო	1	0	20
რუსეთი. პრემიერლიგა								
მალხაზ ასათიანი	ლოკომოტივი	შ	კრილია 2:0	0	განაცხადში არ იყო	0	0	5
დავით მუჯირი	ლოკომოტივი	შ	კრილია 2:0	0	ავადაა	1	0	5
დავით კვირკველია	რუბინი	ს	ზენიტი 3:1	90		3	0	1
ლაშა სალუქვაძე	რუბინი	ს	ზენიტი 3:1	86	შეცვალეს	2	0	1
ნუკრი რევიშვილი	რუბინი	ს	ზენიტი 3:1	0	ტრავმირებულია	0	0	1
გოგიტა გოგუა	ნალჩიკი	ს	ტერეკი 1:2	45	გააფრთხილეს, შეცვალეს	3	0	11
ალექსანდრე ამისულაშვილი	ნალჩიკი	ს	ტერეკი 1:2	90		3	0	11
დავით სირაძე	ნალჩიკი	ს	ტერეკი 1:2	90		3	0	11
ლევან გვაზავა	ლუჩ-ენერგია	შ	შინიკი 1:0	90		3	1	8
რუსეთი. პირველი დივიზიონი								
გედევან დარასელია	ტორპედო	ს	ვიტიაზი 1:0	0		0	0	10
ვალერი აბრამიძე	ანჟი	შ	ენერგია 4:0	90		2	0	10
გიორგი ნავალოვსკი	ანჟი	შ	ენერგია 4:0	90		2	0	5
მიხეილ აშვეთია	ანჟი	შ	ენერგია 4:0	69	1 გოლი, შეცვალეს	2	1	9
ზურაბ არზიანი	ანჟი	შ	ენერგია 4:0	0		0	0	5
რევაზ ჯიქია	ანჟი	შ	ენერგია 4:0	0		0	0	5
გოჩა ხოჯავა	ანჟი	შ	ენერგია 4:0	57	საგოლე პასი, შეცვალეს	2	0	5
რევაზ ბარაბაძე	ანჟი	შ	ენერგია 4:0	21	შეცვლაზე ითამაშა	1	0	5
პაატა ჯინჭარაძე	ბრიანსკი	ს	სალიუტი 2:1	90	გააფრთხილეს	1	0	11
გია გრიგალავა	სკა	შ	როსტოვი 0:1	0	ტრავმირებულია	0	0	9
უკრაინა. სუპერლიგა								
სანდრო იაშვილი	თუნი	შ	იანგ ბოისი 0:4	14	შეცვლაზე ითამაშა	19	1	10
ჩეხეთი. გამბრინუსლიგა								
გიორგი განუგრავა	ბოლესლავი	შ	ბრნო 1:3	45	შეცვალეს	2	0	10
დანია. სუპერლიგა								
გიორგი ფოფხაძე	ვიბორგი	შ	კოპენჰაგენი 2:3	90	გააფრთხილეს	7	0	11
უკრაინა. ვიშა ლიგა								
ოთარ მარცვალაძე	დინამო	ს	ხარკოვი 1:0	0	ტრავმირებულია	0	0	1
დავით იმედაშვილი	დინამო	ს	ხარკოვი 1:0	0	განაცხადში არ იყო	0	0	1
კახა ალადაშვილი	ხარკოვი	შ	დინამო 0:1	30	შეცვალეს	5	0	15
ლადო ბურდული	ზარია	ს	კარპატი 0:3	0		17	0	13
ლაშა ჯაკობია	ვორსკლა	ს	დნიპრო 0:1	0		0	0	14
ირაკლი მოდებაძე	კრივბასი	შ	ნეფტიანიკი 0:0	0		0	0	10
ჯაბა კანკავა	დნიპრო	შ	ვორსკლა 1:0	61	შეცვალეს	17	3	3
სანდრო კობახიძე	დნიპრო	შ	ვორსკლა 1:0	0		1	0	3
გიორგი დემეტრაძე	არსენალი	შ	შახტარი 2:4	0		18	3	8

შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის აღგილი ლიგაში

ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვას
ნარმოგიდგენთ VEGA SLOT

ჩემპიონთა ლიგა 2007–2008
მეოთხედფინალი. პირველი მატჩები. დღეს

სერია A ფერგიუსონის წისქვილია

რომა — მანჩესტერი
სავარაუდო შემადგენლობები

რომა: დონი; კასეტი, პანუჩი, მექსესი, ტონეტო; დე როსი, აკვილანი; ჟიული, ტადეი, მასსინი; ვუჩინიჩი
მწვრთნელი: ლუჩანო სპალეტი
მანჩესტერი: ვან დერ სარი; ბრაუნი, ფერდინანდი, ვიდიჩი, ევრა; სქოულზი, ჰარგრივსი, ანდერსონი; რონალდუ, რუნი, გიგზი
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
მსაჯი: ფრანკ დე ბლეკერე (ბელგია)

ლუჩანო სპალეტი „მანჩესტერს“ ელის

„როცა გავიგე, რომ მეოთხედფინალში „მანჩესტერი“ შეგვხვდა, ვიყვირე: არის, არის! — თქვა „რომას“ მწვრთნელმა ლუჩანო სპალეტიმ — შარშანდელი სამარცხვინო მარცხის გამო რევანშის შანსი გაგვიჩნდა და უნდა გამოვიყენოთ. მთელი წლის განმავლობაში გვტანჯავდა ის წაგება, ახლა კი ჭრილობის მოშუშების დროა.

1:7 ჩემს კარიერაში არასოდეს მიგემია, თუმც გუნდს სხვა მატჩებში ბევრად ცუდად უთამაშია, ამდენი გოლი არ გაუშვია. ბიჭები ასეთ მარცხს ნამდვილად არ იმსახურებდნენ. „მანჩესტერს“ იმ მატჩში ყველაფერი კარგად გამოუვიდა — კარში ათჯერ დაარტყა და 7 გაიტანა. ეს ანომალია იყო. ვიმედოვნებ, ბიჭები ამჯერად აღარ შერცხვებიან. მათ საკმარისი გამოცდილება უკვე მიიღეს. ორმატჩიან ღუელში „მანჩესტერის“ დასამარცხებლად თავზემოთ ახტომა გვმართებს. ფრთხილად უნდა ვიყოთ და ვეცადოთ, რომ გოლი არ გავუშვათ“.

რომაელებს კაპიტანი ფრანჩესკო ტოტი დააკლდებათ, რომელმაც შაბათს „კალიარისთან“ მატჩში გოლი გაიტანა, მაგრამ ბარძაყის კუნთი იტკინა და დღეისთვის გამოკეთებას ვერ მოასწრებს.

ალექს ფერგიუსონმა განაცხადა, რომ „რომას“ იტალიის ჩემპიონობის შანსი აქვს და ამან შეიძლება „მანჩესტერის“ წისქვილზე დაასხას წყალი. ანუ ლუჩანო სპალეტის გუნდი ორ ფრონტზე ვერ გაქაჩავს და სერია A-ს მოგებაზე უფრო იზრუნებს, ვიდრე ჩემპიონთა ლიგისა, სადაც გაცილებით ნაკლები შანსი აქვს.

„მანჩესტერი“ საუცხოო ფორმაშია — პრემიერლიგაში ზედიზედ ექვსი მატჩი მოიგო, შაბათს შინ „ასტონ ვილა“ 4:0 დაამარცხა. უეინ რუნიმ დუბლი შეასრულა, თითოთითო კი რონალდუმ და კარლოს ტევესმა შეაგდეს. მაიკლ კარიკი, პატრის ევრა, როი ფერდინანდი და რაიან გიგზი მსუბუქად დაშავდნენ, ალი ნანი და დარენ ფლეტჩერი მანჩესტერში დარჩნენ.

„მანჩესტერი“ და „რომა“ საამსეზონო ჩემპიონთა ლიგის ჯგუფშიც ერთად იყვნენ. „სტადიო ოლიმპიკოზე“ მატჩი 1:1 დასრულდა, „ოლდ ტრეფორდზე“ კი მასპინძლებმა 1:0 მოიგეს. შარშან მერვედფინალში რომაელებმა შინ 2:1 იმარჯვეს, მანჩესტერში კი საშინელი მარცხი იგემეს — 1:7. მოკლედ, ერთ წელიწადში გუნდებმა ერთმანეთთან ოთხჯერ ითამაშეს და კიდევ ორი მატჩი ელით. ისევე, როგორც „ჩელსი“ და „ბარსელონა“, „მანჩესტერი“ ამ სეზონის ჩემპიონთა ლიგაში სტუმრად არ დამარცხებულა.

„რომა“ ინგლისურ კლუბებს შინ ათჯერ ეთამაშა, ხუთი თამაში მოიგო, სამი ფრედ დასრულა და ორი წაგო.

„მანჩესტერ იუნაიტედის“ იტალიაში მოგზაურობას ხეირიანს ვერ დავარქმევთ. აპენინებზე 14 მატჩიდან „წითლებმა“ ორი მოიგეს, ორჯერ მეტოქეს დაუზავდნენ და ათჯერ დამარცხდნენ.

აღსანიშნავია, რომ უეინ რუნიმ ბოლო ორ სეზონში იტალიელებთან ექვს შეხვედრაში ხუთი გოლი შეაგდო, ხოლო კრიშტიანუ რონალდუმ ჩემპიონთა ლიგის ბოლო ათ მატჩში ცხრა გაიტანა.

ვაჟა ხუციშვილი

შალკე — ბარსელონა
სავარაუდო შემადგენლობები

შალკე: ნოიერი; რაფინია, ბორდონი, კრსტაიჩი, ვესტერმანი; ასამოა, ჯონსი, ერნსტი, პანდერი; კურანი, ალთინთოფი
მწვრთნელი: მირკო სლომკა
ბარსელონა: ვალდესი; ძამბროტა, პუიოლი, მილიტო, სილვინიო; ხავი, ი. ტურე, ინიესტა; კრკიჩი, ეტოო, ანრი
მწვრთნელი: ფრანკ რაიკარდი
მსაჯი: კიროს ვასარასი (საბერძნეთი)

ნოიერი ეტოოს: ჩვენზე რა თქვი?

„შალკეს“ მეკარე მანუელ ნოიერს, რომელიც 22 წლის ერთი კვირის წინ გახდა, „ბარსელონასი“ სულაც არ ეშინია. „პორტუსთან“ მერვედფინალის საპასუხო მატჩში ნოიერმა პენალტების სერიაში ორი დარტყმა მოიგერია და „ხუმარები“ მეოთხედფინალში გაიყვანა.

„წილისყრას თანაგუნდელებთან ერთად სასტუმროში ვუყურე — განაცხადა მეკარემ — და ყველას გაგვიხარდა, რომ მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო, შემტევი გუნდი შეგვხვდა. „ბარსას“ ნებისმიერ პოზიციაზე უმაღლესი კლასის ფეხბურთელი ჰყავს. როგორც გავიგე, სამუელ ეტოოს უთქვამს, „შალკე“ სუსტი მეტოქეა და იოლად დავამარცხებთო. გულახდილად გეტყვით, არ მადარდებს, რას ფიქრობს ჩვენზე მოწინააღმდეგე, მაგრამ თუ სუსტად გვთვლიან, „შალკესთვის“ უკეთესია. აქამდეც ჩუმად, ზედმეტი აურზაურის გარეშე მოვედით და რაც უფრო წყნარად ვიქნებით, უფრო შორს წავალთ.

არა მგონია, „ბარსელონა“ „პორტუსავით“ დაცვაში ჩადგეს. კატალონიელები შინ თუ გარეთ მაგრად უტევენ, ამიტომ დაცვაში ძალიან ყურადღებით უნდა ვიყოთ და გოლი არ გავუშვათ. ბევრი რამ სწორედ ჩემზე და მცველებზე იქნება დამოკიდებული“.

გასულ შაბათს „შალკემ“ „კარლსრუესთან“ სტუმრად ცხრა საგოლე მომენტიდან ერთიც ვერ გამოიყენა და მატჩიც უგოლოდ დასრულდა. „ბარსელონასთან“ უფრო სწრაფად უნდა შევუტიოთ და მეტი სიზუსტე გვმართებს, თორემ მეტოქე არ გვაპატიებს, როგორც ეს „კარლსრუესთან“ მოხდა“ — თქვა კევინ კურანიმ.

მირკო სლომკამ შაბათის მატჩში მცველი კრისტიან პანდერი მარცხენა ნახევარმცველად ათამაშა, ჰაიკო ვესტერმანი კი მას ზურგს უმაგრებდა. „შალკეს“ მწვრთნელმა რაღაც ახალი მოიგონა საბარსელონოდ და შესაძლოა, დღეს ეს ვარიანტი გამოიყენოს. „ამ წყვილმა საქმეს თავი კარგად გაართვა“ — აღნიშნა სლომკამ, რომელსაც დისკვალიფიკაციის გამო ჯერმენ ჯონსი დაკლდება, ხოლო ტრავმის გამო — რაკიტიჩი.

მანუელ ნოიერის ბარსელმა კოლეგამ ვიქტორ ვალდესმა განაცხადა, რომ მისმა თანაგუნდელებმა „ბეტისთან“ გადანატილი კოშმარი მალე უნდა დავივიწყონ და მარცხს „შალკესთან“ გამარჯვებით უპასუხონ. კატალონიელებმა სევილიაში კრკიჩის და ეტოოს გოლებით პირველი ტაიმი მოიგეს, მაგრამ მეორე ტაიმის თექვსმეტწუთიან მონაკვეთში სამი გაუშვეს და წააგეს. „შალკეს“ წინააღმდეგ სულ სხვა განწყობით გავალთ და „ბეტისი“ აღარც გვემახსოვრება — თქვა ვალდესმა — ჩემპიონთა ლიგა განსხვავებული სამყაროა, საშაბათს აუცილებლად უნდა მოვიგოთ და ხასიათიც გამოვიკეთდება“.

ფრანკ რაიკარდმა სეზონიანში წაგების შემდეგ მხრები აიჩეჩა: „არ ვიცი, როგორ ავხსნა, რა მოხდა. მხოლოდ ის შემიძლია, რომ გულშემატკივრებს მოვუბოდიშო“.

„ბარსელონას“ გელზენკირხენში არ გაჰყვა რონალდინიო, რომელიც ბოლომდე არ გამოჯანმრთელებულა. ტრავმირებულნი არიან ლიონელ მესი და დეკუ. სამაგიეროდ, გუნდში იქნებიან რაფაელ მარკესი და გაბრიელ მილიტო. მარკესს 20 თებერვლის მერე არ უთამაშია, მილიტო კი ათი დღის წინ დაშავდა.

„შალკემ“ ესპანელ მეტოქეებს შვიდჯერ უმასპინძლა, სამჯერ მოიგო, ორჯერ დაუზავდა და ამდენჯერვე წააგო. რაც შეეხება ორმატჩიან ღუელებს, „ხუმარები“ ხუთიდან ოთხჯერ გამარჯვებული გამოვიდნენ.

ვაჟა ხუციშვილი

ხელფასზე დიდი პირი

როგორც ინგლისელი ჟურნალისტები იტყობინებიან, პრემიერლიგაში ბოლოს და ბოლოს ჩატარდა ტური, რომელშიც ფეხბურთელებმა გინებით არ აიკლეს ყველა და ყველაფერი, თუმცა აქა-იქ მაინც გამოჩნდნენ ისეთები, ვინც საკუთარ ხელფასზე დიდი პირი დააღო და საყოველთაო გაჩუმების კამპანიას არ დაემორჩილა. „სანმა“ გადაწყვიტა, ეს ფეხბურთელები საზოგადოების წინაშე გამოემზეურებინა:

„რედნგის“ მცველმა ნიკი შორიმ „ბლეკბერნთან“ უგოლო თამაშის 46-ე წუთზე მსაჯ მარკ კლეტენბურგს უთხრა: „მე არ ვიგინები. შენ კი ფაქინგ ჯარიმებს დებ, ფაქინგ მკვლელო, ფაქინგ ყველაფერზე გვისტვენ“.

ამ ამბავზე ხუთი წუთით ადრე დეივ კიტსონმა უთხრა იმავე არბიტრს: „ყველაფერი, რასაც შენ დღეს ჩვენს წინააღმდეგ უსტვენ, შეცდომაა“.

„ვესტ ჰემმა“ „სანდერლენდთან“ რომ წააგო 1:2, ინგლისის ნაკრების კაპიტნის რიო ფერდინანდის ძმამ ანტონ ფერდინანდმა 42-ე წუთზე, დაჯარიმების შემდეგ მსაჯ ენდრი მარინერს უთხრა:

„ეს რაღა ფაქინგ ჯარიმა იყო?“

„რიბოკ სტადიუმზე“ ბოლტონელმა ესპანელმა ივან კამპომ მსაჯ კრის ფოისთან 28-ე წუთზე ვიღაცაზე იჩივლა:

„ფაქ ოფ მითხრა!“

იმავე შეხვედრაში „არსენალის“ კაპიტანმა ვილიამ გალასმა ერთ-ერთ ეპიზოდში მსაჯს დაუძახა:

„რეფერი, ყვითელი, რეფერი“

თუმცაღა, ეს, დაგვეთანხმებით, ლანძღვა-გინება არ არის.

ბოლტონელმა ცუდმა ბიჭმა ელჰაჯი დიუფმაც თქვა „ფაქ ოფ“, თან მსაჯს უთხრა, ოღონდ არბიტრმა, როგორც ჩანს, ვერ გაიგო.

ამგვარი მაგალითები სხვა თამაშებიდანაც იყო, თუმცა ეს „ფაქობანა“ მეტწილად იმდენად ვინმეს შეურაცყოფას არ ისახავს მიზნად, რამდენადაც საზოგადოების გარკვეული წრის მეტყველების ნაწილია, ასე რომ...

პაპუნა კედია



მურსიადან მურსიამდე

კუმანი თასს ებღაუჭება

მას შემდეგ, რაც რონალდ კუმანმა „ვალენსია“ ჩაიბარა, „ღამურებმა“ 57 სავარაუდოდან მხოლოდ 18 ქულა მოიპოვეს. მართალია, „ვალენსიამ“ ამას წინათ თასზე „ბარსელონას“ და პრიმერადივიზიონში „რეალის“ დამარცხება შეძლო, მაგრამ გრანდებთან თავგანწირვამ კუმანის გუნდის კრიზისი მხოლოდ მცირე დროით მიჩქმალა. აშკარაა, რომ „მესტალიაზე“ საქმე კარგად არ მიდის...

როცა გუნდში ჰოლანდიელი კიკე სანჩეს ფლორესის მაგივრად მივიდა, „ვალენსია“ ვარსკლავებს, ანუ საჩემპიონთალიგო პოზიციებს ეთამაშებოდა. ახლა „ღამურებს“ 39 ქულა აქვთ და ლა ლიგას ცხრილში მეთერთმეტე ადგილზე არიან. ოპტიმისტებს შეუძლიათ, თქვან, რომ კუმანის შეგირდებს უეფაზე გამსვლელ პოზიციებს 6 ქულა აშორებთ, თუმცა ესეც ჭეშმარიტებაა — „ვალენსია“ გასავარდნ ზონასთან 6 ქულის მანძილზეა.

კუმანს ლა ლიგაში სამწვრთნელო დებიუტი „მურსიასთან“ ჰქონდა, კლუბთან, რომელსაც მოუგო და რომელთანაც მომავალ ტურში „ნუეკა კონდომინაზე“ ჯახი მოუწევს. „მურსიას“ შემდეგ „ვალენსიამ“ კიდევ სამ მატჩში გაიმარჯვა, 6 ფრედ დაამთავრა და 9 წაგო. „ღამურებმა“ მეტოქეებს 16 გოლი გაუტანეს, ხოლო საკუთარ კარში 18 მიიღეს.

„მესტალიაზე“ კუმანის ჯერჯერობით ბოლო შეხვედრა „მალიორკასთან“ შედგა. ვალენსიელები დიდი ანგარიშით დამარცხდნენ და საერთოდ, ამ სეზონში „მესტალიას“ გუნდმა შინაურ არენაზე მხოლოდ 4 შეხვედრაში გაიმარჯვა. „ვალენსია“ ახლა საშინაო თამაშების მხრივ ესპანურ პრიმერაში ყველაზე ცუდშედეგიანი გუნდია.

„მალიორკასთან“ ჯახში მასპინძელთა სუსტი მხარეები ნათლად გამოჩნდა — დაცვაში საშინელი შეცდომები, მოიერიშეთა ერთიანეთისადმი შეუთავსებლობა, შეტევითი სულის უქონლობა...

შედეგებს თავი რომ დავანებოთ, რონალდ კუმანს წმინდა ადამიანური თვალსაზრისითაც არ ულხინს „მესტალიაზე“. „ტინტინმა“ გუნდიდან ავტორიტეტები, ვეტერანები ალბელდა, კანისარესი და ანგულო დაითხოვა და ამით შემადგენლობასთან ურთიერთობა გაიუარესა. „ტინტინ ალბათ უკვე მწარედ ნანობს, რომ „მესტალიაზე“ ვეტერანთაგან ერთი მაინც არ დატოვა“ — წერს ესპანური „მარკა“.

აი, „ვალენსიამ“ თუ საამსეზონოდ კოპა დელ რეი მოიგო, იქნებ კუმანმა თავკაცობა შეინარჩუნოს, თუმცა „ტინტინის“ სამწვრთნელო შანსები ამ შემთხვევაშიც ფრიად მცირე იქნება.

ლადო ხომერიკი

სამში ორი?

ავრაამ გრანტმა პრემიერლიგას „ჩელსის“ წინააღმდეგ მოქმედებაში დასდო ბრალი. კერძოდ, ლონდონელი „ლურჯების“ შეფი უკმაყოფილოა, რომ მის გუნდს აპრილში, 72 საათში ორი თამაში უწევს. მიზეზი: სატელევიზიო მოთხოვნაა ასეთი.

დღეისთვის „ჩელსი“ პრემიერლიგის ცხრილში „მანჩესტერ იუნაიტედ“ ხუთი ქულით ჩამორჩება. თამაშები, რომელიც გრანტის გუნდმა სამდღიან მონაკვეთში უნდა გამართოს, „უიგანისა“ და „ევერტონის“ წინააღმდეგაა ჩასატარებელი.

გაბრაზებულმა მწვრთნელმა ბოლო ტურში „მიდლსბროსთან“ 1:0 გამარჯვების შემდეგ განაცხადა:

„ვერ გამიგია, რატომ უნდა ვითამაშოთ ხუთშაბათს. ეს სრული უსამართლობაა. სეზონი დასასრულს უახლოვდება და პირობები ყველა გუნდისთვის ერთნაირი უნდა იყოს, მაგრამ ასეა თუ ისე, ბოლომდე უნდა ვიბრძოლოთ. სამართლიანობის აღდგენა ჩვენსავე ხელთაა“.

ახლა კი დავაზუსტოთ რა ტელემოთხოვნებია ასეთი, „ჩელსის“ 72 საათში ორჯერ თამაშს რომ აიძულებს: 14 აპრილს Setanta Sports-ზე „ჩელსისა“ და „უიგანის“ თამაში უნდა გადაიცეს, „ევერტონის“ თამაში კი 19 აპრილს Sky-ზეა დაგეგმილი — Sky-მ სეზონში 138 თამაში პირდაპირი ეთერით უნდა გადასცეს.

პაპუნა კედია

რივერში თავისიანი გაიმეტეს

არგენტინაში „რივერ პლეიტის“ გულშემატკივრებმა იქაურ „არსენალთან“ მატჩის წინ ერთმანეთს დასცხეს და „ველეს სარსფილდის“ სტადიონის მისადგომებთანაც (შეხვედრას ეს არენა მასპინძლობდა) გრანდიოზული ჩხუბი გაიმართა.

„რივერის“ ფანობა არგენტინაში აგრესიულობით გამოირჩევა. ამ გუნდის ქომაგები სხვადასხვა ბანაკად არიან დაყოფილნი და ხშირად ხდება ხოლმე, სტადიონზე თავპირს მეტოქე გუნდის ინჩასებს კი არა, ერთმანეთს რომ უსისხლიანებენ. ამჯერად ჩხუბმა მავანი რივერელის საკოცხლე კინაღამ შეიწირა — ინჩასი ჰოსპიტალში გადაუყვანიათ და, როგორც იქაური „კლარინი“ იუწყება, დღესაც მძიმე მდგომარეობაშია.

სტადიონთან თავდგახურებულ ფანებს სხვა ორი კაციც დაუხვრეტავთ, თუმცა ამათ ჰოსპიტალში წასვლაზე უარი განუცხადებიათ. მერე იყო შეტაკება პოლიციასთან, თუმცა სამართალდამცავებმა ხულიგანთა დაშოშმინება ვერ მოახერხეს და ჩხუბი ტრიბუნებზე, მაჯრის დროსაც გაგრძელდა.

მსაჯს შეხვედრა არ შეუწყვეტია და „რივერ პლეიტმაც“ „არსენალს“ მოუგო. არგენტინულ ფეხბურთში კი ძალმომრეობა მოხშირდა — ჩემპიონატის უკვე ზედიზედ მესამე ტურია, ინჩასები სისხლიან გარჩევებს აწყობენ.

ლადო ხომერიკი

პორტუგალია

სუპერლიგა. XXIV ტური

ბენფიკა 4:1 ფერეირა

1:0 კ. როდრიგესი (24), 1:1 უესლი (41), 2:1 ო. კარდოზო (69), 3:1, 4:1 რუი კოშტა (75, 85)

პორტუ	24	19	3	2	43:9	60
ბენფიკა	24	11	11	2	40:16	44
გიმარაეში	24	13	5	6	27:23	44
სპორტინგი	24	11	7	6	36:22	40
სეტუბალი	23	9	10	4	31:22	37
ბრაგა	24	8	10	6	27:25	34
ბელენენსეში	24	8	9	7	25:26	33
ნასიონალი	24	8	8	8	18:19	32
მარიტიმუ	24	9	4	11	27:25	31
ბოავიშტა	23	7	10	6	29:34	31
ამადორა	24	6	10	8	29:29	28
აკადემიკა	24	4	11	9	23:35	23
ნავალი	24	6	5	13	18:39	23
ლეიშოეში	24	3	13	8	23:29	22
ფერეირა	24	5	4	15	23:40	19
ლეირია	24	1	6	17	18:44	9

მექსიკა

კლაუსურა

XII ტური

ნეკაძსა 1:0 გვადალახარა

სანტოსი 4:0 ტეკოსი

არგენტინა

კლაუსურა

VIII ტური

ოლიმპო 1:1 ბოკა ხუნიორსი

ჩილე

აპერტურა

XIII ტური

კობრელოა — უნივ. კონსეპსიონი 1:3; კობრესალი — რეინჯერსი 2:0; აუდაქს იტალიანო — პალესტინო 2:1; ევერტონი — ატლეტიკო 1:1; დეპ. კონსეპსიონი — კოლო კოლო 2:2; უნიონ ესპანიოლა — ანტოფაგასტა 1:0

მილანი შანსის იმედადაა

ბერგამოს „ატალანტას“ „სან სიროზე“ „მილანთან“ 17 წელი არ მოეგო და ნავსი კვირას გატეხა. ეს მიჯრით მეორე საშინაო მარცხი გახლდათ „როსონერისთვის“. კარლო ანჩელოტის შეგირდებმა მდგომარეობა კიდევ უფრო გაირთულეს და ახლა უნდა იწვალონ, თან უნდა გაუმართლოთ, რათა მომავალ სეზონში ჩემპიონთა ლიგის გარეშე არ დარჩნენ.

„კარგად ვიცნობ ჩემს ფეხბურთელებს და ვიცი, რაც შეუძლიათ. ამიტომ შანსი ჯერ კიდევ გვაქვს და ბოლომდე უნდა ვიბრძოლოთ, მაგრამ მეტ შეცდომას აღარ გვაპატიებენ. რთული პერიოდი გვიდგას და როგორმე უნდა გადავაგოროთ. ჩემპიონთა ლიგის გარეშე დარჩენა ჩვენთვის დიდი დარტყმა იქნება. იმედია, კაკა დაგვიბრუნდება და ძველ შეცდომებსაც აღარ დავუშვებთ“ — თქვა ანჩელოტიმ.

„მილანს“ ძალიან საკამათო ვითარებაში არ ჩაუთვალეს ორი გოლი, მაგრამ მწვრთნელი წაგებას ამას არ აბრალებს. აი, „როსონერის“ ვიცე-პრეზიდენტი ადრიანო გალიანი კი მსაჯის შეცდომებმა ძალიან გააბრაზა.

„ბრიგიმ ძალიან ცუდად იმსაჯა, მაგრამ მის გამო ნამდვილად არ წაგვიგია. გასამართლებელი მიზეზები კი არ უნდა ვეძებოთ, ვითარების გამოსწორებაზე ფიქრია საჭირო“ — დასძინა ანჩელოტიმ.

ადრიანო გალიანი: „მატჩის შედეგი მთლიანად მსაჯმა გადაწყვიტა. რომელი ერთი ვახსენო, უსამართლოდ არჩათვლილი ორი გოლი, თუ სხვა ეპიზოდები? თუმცა, რა აზრი აქვს, გვეტყვიან, ყველაფერი კარგად არისო. ცხადია, მარცხში ჩვენი ბრალიც არის და შეცდომები უნდა გამოვასწოროთ“.

„რეალობას თვალი უნდა გავუსწოროთ და პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე ავიღოთ. ცუდად ვითამაშეთ და დამსახურებულად წავაგეთ. შემართება და გამარჯვებისკენ სწრაფვა გვაკლდა, თუმცა ისიც ფაქტია, რომ მსაჯებმა ბევრი შეცდომა დაუშვეს. ორი გოლი არ ჩაგვითვალეს, მეტოქის პირველი გოლისას წამაქციეს და ბურთი არ უნდა ჩათვლილიყო და ასე შემდეგ“ — ეს კი „მილანის“ მცველის მასიმო ოდოს სიტყვებია.

კოკი კანდელაკი



კიდევ ერთი ტრაგედია იტალიაში

კვირას, ტურინის სიახლოვეს, „იუვენტუსი“ — „პარმას“ მატჩზე მიმავალი პარმელთა ფანი ტრაგიკულად რომ დაიღუპა, ალბათ მოგეხსენებათ. ამის გამო შეხვედრა გადაიდო და, სავარაუდოდ, 16 აპრილს გაიმართება.

27 წლის მატეო ბანიარეზის სიცოცხლე უბედურმა შემთხვევამ იმსხვერპლა. დეტალები ჯერჯერობით უცნობია, ვერსია კი ორია, მაგრამ ფაქტია, რომ ეს უბედური შემთხვევა იყო.

ამბობენ, ბანიარეზის „იუვენტუსის“ მინიავტობუსი დაეჯახა, როცა იგი ქუჩაზე გადარბოდა, მძღოლი კი ამ დროს სარკეში იყურებოდა, „პარმას“ ფანები ხომ არ მომდევნო, და ამიტომ ვერ დაინახა მატეო.

მეორე ვერსიით, ამ ტრაგიკულ ინციდენტს ფეხბურთთან, ფაქტობრივად, არანაირი შეხება არ აქვს.

„მატეო მინიავტობუსთან ახლოიდგა. მძღოლი მას ვერ ხედავდა და უკუსვლით წავიდა. ჩვენ ვუყვიროდით — გააჩერეთ, გააჩერეთ, მაგრამ მძღოლი დაიბნა. რიგორც ჩანს, იფიქრა, რომ ვეხუმრებოდით და სვლა გაგრძელა. იგი ვერ აცნობიერებდა, რა ხდებოდა“ — თქვა ამს ერთ-ერთ თვითმხილველმა.

გავრცელებული ცნობით, არც ინციდენტამდე და არაც მის მერე „იუვენსა“ და „პარმას“ ფანებს ბრძის შეტაკება არ მომხდარა, ისინი ერთმანეთის გინებით შემოიფარგლნენ.

გიორგი კაკაბაძე

ინლერის და უდინეზეს ტური

სერია A-ს 31-ე ტურში ვერც „ინტერმა“ მოიგო და ვერც „რომამ“. ასე რომ, „ნერაძური“ დედაქალაქელებს ისევ 4 ქულით უსწრებს. სამაგიეროდ, კიდევ უფრო დაიძაბა ბრძოლა მეოთხე ადგილისთვის. channel4.com-ი ტრადიციულ ჩანახატებს გვთავაზობს

ვალტერ ნოველინო — ტურის გმირი

ზლატან იბრაჰიმოვიჩი — ტურის უიღბლო

გამარჯვებულები

ინლერი (უდინეზე) — როცა ზაფხულში „ძებრეტენში“ გადავიდა, ყურადღება თითქის არავინ მიაქცია, მაგრამ შვეიცარიელმა ნახევარმცველმა ყველა სასიამოვნოდ გააოცა. „ფიორენტინასთან“ უმნიშვნელოვანეს მატჩშიც ბრწყინვალე იყო, პირველი გოლი თავად გაიტანა, მერე კი ანტონიო დი ნატალეს გაატანინა.

ვალტერ ნოველინო (ტორინო) — ტურინელთა კატანიაში მოგება აშკარად დროული გახლდათ. „ტოროს“ მიჯრით სამი მატჩი ჰქონდა წაგებული ისე, რომ გოლიც არ გაეტანა. ნოველინომ „ელეფანტისთან“ პრინციპულ შეხვედრაში თამამად ათამაშა შემტევი შემადგენლობა და დააჯილდოვა კიდეც.

დამარცხებულები

ზლატან იბრაჰიმოვიჩი (ინტერი) — გუნდისთვის ტრავმირებულიც სასარგებლოა, არა? უკვე მერამდენე მატჩია, მილანელები შვედს მინდორზე უშვებენ, მიუხედავად იმისა, რომ ბილომდე მზად არ არის და ძალიან ცუდად გამოიყურება. მას ბურთის გაჩერებაც კი უჭირს და ჩვეული ქუსლურები და ტრიუკები აღარ შველის.

ანდრეა პირლო (მილანი) — თამამად შეგვიძლია, ამ ნომინაციაში „როსონერის“ მთელი შემადგენლობა დავასახელოთ, მაგრამ პირლომ მაინც ყველას „აჯობა“. ბოლო პერიოდში ანდრეა მშვენივრად ირჯებოდა, მაგრამ „ატალანტასთან“... ბოლო წამებზე პენალტი ვერ გაიტანა, თორემ „მილანი“ ქულას მაინც აიღებდა.

ამანტინო მანსინი (რომა) — „ვალეროსის“ შეეძლო, „ინტერთან“ სხვაობა ორ ქულამდე შეემცირებინა, თუ „კალიარის“ მოუგებდა. თუმცა იმაში, რომ „რომამ“ სარდინიიდან 3 ქულა ვერ წაიღო, მანსინიცაა დამნაშავე. ერთ ეპიზოდში მან რეალური მომენტი ვერ გამოიყენა და მთლიანობაშიც ცუდად ითამაშა.

გოლები

ანტონიო დი ნატალე (უდინეზე) — ეს ტოტოს კლასიკური გოლი გახლდათ — ფლანგზე გაიჭრა და შშვენიერი დარტყმით დაამწუხრა სებასტიან ფრეი. არადა, ამ ეპიზოდამდე „ფიორენტინა“ უდანაკარგოდ ბრრიანად აწვებოდა.

მარკო როსი (ჯენოა) — ბრწყინვალე, ძლიერი, მოჭრილი დარტყმით გაუტანა „რეჯინას“. როსიმ შშვენივრად აღნიშნა სერია A-ში თავისი მე-100 მატჩი.

ერნან კრესპო (ინტერი) — ნიანგბული გუნდური გოლი გამოიყენა. დუგლას მაიკონი მარჯვენა ფლანგზე გაიჭრა და კარგად ჩააწოდა, სადაც ერთ-ერთი საუკეთესო მეგვლე, კრესპო, მზად იყო...

რიცხვები

სან სიროს სირცხვილი: ეს არის „მილანის“ ყველაზე ცუდი სანმატჩო სტატისტიკა 1981-82 წლების სეზონის მერე. მაშინ „როსონერიმ“ „სან სიროზე“ პირველი 15 შეხვედრიდან 5 წააგო, 6-ჯერ ფრედ ითამაშა და მხოლოდ 4-ჯერ მოიგო. საბოლოოდ, ის გუნდი სერია B-ში გავარდა. ამჟამინდელი „მილანი“ მიდიად იქ არ არის, მაგრამ არც ბევრი უკლია — 15 მატჩში 4 მოგება, 7 ფრე და 4 წაგება. არადა, 2005-06 წლების სეზონში „როსონერიმ“ შინ 19 თამაშიდან 18 მოიგო.

„ინტერის“ კრიზისი: „ნერაძურის“ კვლავ ოთხქულიანი უპირატესობა აქვს, მაგრამ ყველა ტურნირში ბოლო 10 მატჩიდან მხოლოდ 2 მოიგო. ჯერ კიდევ ერთი თვის წინ, „ინტერი“ 11 ქულის სხვაობით ლიდერობდა სერია A-ს.

პრობლემა სარდინიაზე: „კალიარისთან“ სტუმრად „რომას“ 12 წელია, არ მოუგია და ნავსი ჯერ ამჯერად გატეხა. 1995 წლის 29 ოქტომბერს დედაქალაქელებმა „სანტელიაზე“ დანიელ ფინსეკას დუბლით იმარჯვეს და მას მერე „კალიარი“ კი ბრწყინვალე ფორმაშია, ბოლო 7 მატჩიდან 5 მოიგო და 2-ჯერ ფრედ ითამაშა.

გიორგი კაკაბაძე

რაული ნაკრებში და პენალტი თავურით!

„ბეტისის“ ბრაზილიელმა ედუმ „რუის დე ლოპერაზე“ თავური ბურთს კი არა, მთელ კატალონიას დასცხო და „ბარსელონა“ მესამე ადგილზე გაგზავნა. ახლა მეორე „ვილიარეალია“, რომელმაც „ატლეტიკო“ გააკრა ბეჭებზე და ლიდერ „რეალს“ 6 ქულის მანძილზე მიუახლოვდა. წლეულს შესანიშნავი „რასინგი“ კი საჩემპიონთალიგო ოთხეულს დღე-დღეზე შელეწავს — მარსელინო გარსია ტორალის გუნდი 2007-08-ის პრიმერას ნამდვილი აღმოჩენა გახლავთ

უნაი ემერის ჯადოსანმერია

„ალმერიამ“ ოცდამეათე ტურში „ლევანტეს“ მოუგო და წლეულს პრიმერადივიზიონში დარჩენა გაინადდა. რაც მთავარია, ამ გუნდს ჰყავს უნაი ემერი, რომელიც შუასაუკუნეების ალქიმიკოსთა მსგავსად, ღამეებს ფილოსოფიური ქვის (ამ შემთხვევაში, სწორი ტაქტიკის) ძებნაში თეთრად ათენებს და წარმატებებსაც აღწევს... გრძელ წოწოლაქუდიანმა და ოქროსფერი ვარსკვლავებით ტანისამოსმორთულმა მწვრთნელმა (ან ჯადოქარმა) ემერიმ თავის ალქიმიკოს შეგირდებს მეტოქის კართან სამ მოკლე პასში გამოჩენა, საჯარიმოების ეშმაკურად შესრულება და, საერთოდ, ბანალურად რომ ვთქვათ, თამაშის მოგება ასწავლა. წინ 8 ტურია დარჩენილი. ემერი, ალბათ, ამ მატჩებსაც მოკვარახჭინებს და ვინძლო, გაისად ჯადოქარი გაცილებით უფრო სერიოზული გუნდის მოძღვრადაც ვიხილოთ.

ძოლასავით ჯასორლა და სამაგალითო ფერნანდო როიგი

სანტი კასორლა ყველაზე მეტად ჯანფრანკო ძოლას ჰგავს, იმ ფანტასტიკურ ტანმორჩილ იტალიელს, „ჩელსიში“ რომ ბურთაობდა და რომან აბრამოვიჩის ფულებმა ვერ მოხიბლა. „ვილიარეალის“ ასტურიელი მოედანზე სულ საბრძოლოდ შემართული გამოდის და ძოლასავით გაღასარეკ ნიჭს ფლობს — ნაღმებით მოფენილი მინდორი, ანუ მეტოქის მცველებით გაჭედილი საჯარიმო აუფეთქებლად როგორ უნდა გაიაროს და ვინ აღმოაჩინა კასორლა? ფერნანდო როიგის სელექციონერებმა. როიგი „ვილიარეალის“ პრეზიდენტი და წარმატებათა ერთ-ერთი მთავარშემოქმედი გახლავთ. ამ კაცმა საჭირო ფეხბურთელების მოძებნა და ძლიერი გუნდის შექმნა იცის — თუ არ გჯერათ, პრიმერას დღევანდელ სატურნირო ცხრილს გადახედეთ.

ედუ, თავურების მეფე

ერთხელ კიდევ, კიდევ ერთი გრანდი მსხვერპლი (ამჯერად „ბარსელონა) და კიდევ ერთი გოლი, სხეულის ყველაზე მოაზროვნე ნაწილით შეგდებული. ედუს თავი მეტოქეთა თავსატეხია, „ბეტისისთვის“ ამ რთულ სეზონში მცირე სიხარულის მომნიჭებელი. ბრაზილიელმა „მწვანეები“ „რასინგთანაც“ იხსნა და თავის გუნდს მსოფლიო ფეხბურთის ვეშაპებთან, „რეალთან“ და „ბარსასთან“ გაამარჯვებინა. არადა, ვინ იფიქრებდა „ბეტისის“ „ბარსასთან“ ყოჩობას? 62-ე წუთამდე კატალონიელები 2:0-ს იგებდნენ და ედუს გამომაფხიზლებელი თავური რომ არა, ანდალუზიური კლუბი, ალბათ, გონზე ვერ მოვიდოდა.

ახლა ედუ „რუის დე ლოპერას“ ინჩასობის უპირველესი გმირია. მართალია, ბრაზილიელმა „ბარსელონასთან“ პენალტი გააცუდა, მაგრამ ფანებმა საყვარელ ფეხბურთელს ეს შეცდომა უყოყმანოდ აპატიეს. ეს კი არა, „მწვანეთა ერთ-ერთი ფანდაჯგუფების ლიდერმა ჟურნალისტებთან დანანებით განაცხადა: „რა ცუდია, რომ თერთმეტმეტრიანს თავით არ ურტყამენ!“

ვილიამ ჯუმანი გაამართლა

„ვალენსიას“ ფეხბურთელები მხოლოდ საკუთარი სიამოვნებისთვის თამაშობენ, ამ ხალხს გუნდი სულაც არ აინტერესებს“ — დაიჩივლა ერთხელ რონალდ კუმანმა ჟურნალისტებთან. „ლამურათა“ მწვრთნელი თავის შეგირდებზე მედიასთან მუდამ წუწუნებს, თუმცა „მესტალიაზე“ დავიდ ვილიას საქციელმა აჩვენა, რომ შესაძლოა, ზოგჯერ კუმანი მართალიცაა.

მწვრთნელმა გადაწყვიტა, „მალიორკასთან“ ვილია ხოაკინით შეეცვალა, თუმცა „ელ გაუხემ“ ხოაკინის მოედანზე შესვლას არ დაუცადა და ისე მიაშურა გასახდელს. მოგეხსენებათ, რომ მაშინ ტაბლოზე უკვე 3:0 იყო „მესტალიას“ სტუმართა სასარგებლოდ (გამანადგურებელი ანგარიშით სახლში „ვალენსია“ წლეულს უკვე რამდენჯერმე ეამაყა). გავიხსენოთ, [illegible] გოლებმა დროებით გამოცოცხლებულ „ვალენსიასაც“ და ლეგენდარ-გონესის ესპანეთის ნაკრებსაც ადგა მოგებები მოუტანა (მაგალითად, მსოფლიოს ჩემპიონ იტალიელებთან მიღწეული გამარჯვება), მაგრამ, ეტყობა, „ელ გუახე“ ომში მარცხგაცობით დაიღალა და ემიტომ ვალენსიაც მოედნიდან... ან კიდევ დავიდ „ზეტაფესთან“ მოახლოებული ფინალზე ფიქრობს, ანგ სასაკრებო ბატალიებზე. აი, კუმანს [illegible] დავეკითხოთ, „ელ გუახე“ [illegible] საკუთარ სიამოვნებაზე ზრუნავს და გუნდის გაჭირვება გულთან არ მიაქვს. ვინ იცის...

ტურის გმირი – რაული

მორიგი ბრწყინვალე ხალამი და რეკორდი რაულისთვის, ვინც „ვალიადოლიდის“ კარის დალაშქვრით „რეალის“ ძველჩაუქი ლეგენდის, სანტილიანას საგოლე მიღწევა (290 ოფიციალური გოლი) გაიმეორა. უკვე ზედიზედ მეორე ტურია, „ატლანტი ტაბლოზე 2:1-ს აფიქსირებს და გოლს მაშინ იტანს, როცა მტოქემ ეს-ესაა ანგარიში გაათანაბრა. „ვალენსიასთან“ ბედის უკუღმართობამ სამეფო „შვიდიანს“ გარეკა წყალში ჩაუყარა, მაგრამ „სევილიასთან“ რაულმა „რეალის“ გამარჯვებაში ლომის წილი შეიტანა.

„გოლი რაულმა შეაგდო „[illegible]ლის“ და ესპანეთის ნაკრების [illegible]ვიდე ნომერმა“ — [illegible] როფონს „სანტიაგო ბერნაბეუს“ ცნობილმა სპიკერმა არტურო [illegible]სომ. ამ კაცს სულსწრაფობისა და რაულის გადამეტებული [illegible]სთვის ადრეც უსაყვედურია და, ალბათ, ახლაც ეტყვის რამეს — „ფურია როხაში“ ხომ [illegible] ბლანკოს „კუთვნილი“ შვიდიანი მაისურით დღეს დავიდ ვილია ბურთაობს. თუმცა სერიოზული ესპანელ [illegible]სი უმრავლესობის აზრს [illegible]ტავს. ეყო უკვე მოხუც ჯიუტ არაგონესს მადრიდელთან [illegible] დროა, ნაკრებში რაული [illegible] — დიდი „შვიდიანის“ [illegible] ატარებულ ევროპის ჩემპიონატს [illegible] ბი დააკლდება.

ლადო ხომერიკი



გვარდიოლა რაიკარდის ნაცვლად

„ბარსელონაში“ სამწვრთნელო ცვლილებები იგეგმება. თუ დღეს რაიკარდის გუნდმა ჩემპიონთა ლიგის მატჩშიც შეირცხვინა თავი და „შალკესთან“ წააგო, „ბარსას“ მმართველი საბჭო საგანგებო თათბირს გამართავს და ჰოლანდიელ მწვრთნელს „კამპ ნოუდან“ დაითხოვს.

ადრე რაიკარდის დამცველი კატალონიურ გრანდში კლუბის პრეზიდენტი ხუან ლაპორტა გახლდათ, მაგრამ დღეს ისიც და დირექტორატის სხვა წევრებიც დარწმუნდნენ, რომ ჰოლანდიელის ბარსელონური სადამრიგებლო ხანა დასასრულს უახლოვდება. ყველაზე მეტად ფრანკს გუნდში დისციპლინის სისუსტეს და ხასიათის სირბილეს საყვედურობენ. მწვრთნელმა ჭირვეულ ვარსკვლავთა მორჯულება ვერ შეძლო და „ბარსასაც“ კრიზისი დაემუქრა.

ხუან ლაპორტამ კი თავისი საქმე ზედმიწევნით კარგად იცის და გუნდს მავან უცხო სპეციალისტს ჩააბარებს. პრიმერას დასრულებამდე 8 ტურია დარჩენილი და ახლა „ბარსაში“ საკლუბო სიტუაციაში ნაკლებად ჩახედული კაცის მოსვლა ალბათ კატასტროფა იქნება. ამიტომაც პრეზიდენტის და მისი ბანაკის რჩეული ძველი ბარსელონელი პეპ გვარდიოლაა.

იოჰან კრუიფის დროინდელი „დრიმ თიმის“ ვარსკლავი ახლა „ბარსა B“-ს მწვრთნელია, ეს გუნდი კი ტერსერა დივიზიონის მეორე ადგილზეა. თუ ბარსელონელობაზე მიდგა საქმე, პეპს კრიტიკოსი ნამდვილად არ ეყოლება — გვარდიოლა „კამპ ნოუზე“ ბალღი მივიდა და კატალონიური გრანდი წლების შემდეგ ლეგენდადქცეულმა დატოვა. საეჭვოა, მასზე უკეთესად „ბარსას“ შიდა სამზარეულოს ვინმე რომ იცნობდეს.

გვარდიოლა ლაპორტას ხალხისთვის მისაღები კანდიდატი სამწვრთნელო მანერითაცაა. პეპი ფეხბურთის შემტევი სტილის მიმდევარია, თუმცა გუნდური სულისკვეთებაც კარგად ესმის და ინდივიდუალისტებზე წინ კოლექტიურად მუშაობას აყენებს.

კატალონიური „სპორტის“ ვერსიით, „ბარსას“ თავკაცობა გვარდიოლას გუნდის მწვრთნელად ადრევე ამზადებდა. ამიტომაც ჩაბარეს ძველ ვარსკლავს კლუბის მეორე გუნდი. მოკლედ, „შალკესთან“ არასასურველი შედეგის შემთხვევაში, რაიკარდს გვარდიოლა ჩანაცვლებს და იგი „ბარსელონას“ მწვრთნელად სეზონის ბოლომდე დარჩება. მერე ხუან ლაპორტა უფრო „მძიმეწონოსან“ სპეციალისტს მოძებნის, ან კიდევ „კამპ ნოუეზე“ ისევ ბარსელონურად გულანთებულ კაცს დატოვებს. [illegible] ბილია მწვრთნელის [illegible] ნაშემწის ვინაობაც. იგი [illegible] ლი ბარსელი, ლუის ენრიკე იქნება.

მწვრნელებზე კოჭკოი, ახლა კი ამაამინდელი „ბარსელონას“ სხვა განიცხული, ერთ დროს „კამპ ნოუს“ გმირთა გმირი რონალდინიოც გავიხსენოთ. აღმოჩნდა, რომ „კუბას“ შეძენა, არც მეტი, არც ნაკლები, კატალონიელთა მტერ მადრიდის „რეალს“ უნდოდა... დღეს [illegible] გუნდს რონალდინიო [illegible] ბა, მაგრამ თუ ბერიდ [illegible] კოკზი ნაცარში ჩაუყარდა [illegible] ესპანეთის ჩემპიონატა ვერ მოიგო, გაისად „ბარსელონის“ ვარსკლავი მადრიდელთა [illegible] სფერო სამიზნეზე იქნება. ეს [illegible] ფერი მედიასთან რონის [illegible] საფეხბურთო ავენტმა [illegible] ასისმა თქვა — საქმე საქმეზე [illegible] მიდგეს, რონალდინიოს „რეალიან“ გარიგებასაც არ გამორიცხავთ.

ლადო ხომერიკი

სარბიელი და კროკი

წარმოგიდგენთ

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ინგლისი. პრემიერლიგა						
		5 აპრილი						
17:00	60	უიგანი-ბირმინგემი	2.15	3.40	3.10	1.31	1.26	1.62
14:45	61	არსენალი-ლივერპული...	2.15	3.20	3.30	1.28	1.30	1.62
17:00	62	ასტონ ვილა-ბოლტონი	1.60	3.60	5.50	1.10	1.23	2.17
17:00	63	ბლექბერნი-ტოტენჰემი	2.40	3.20	2.80	1.37	1.29	1.49
17:00	65	ფულემი-სანდერლენდი	2.15	3.20	3.20	1.28	1.28	1.60
17:00	66	სიტი-ჩელსი	5.20	3.30	1.70	2.01	1.28	1.12
17:00	70	ნიუკასლი-რედინგი	1.70	3.50	4.60	1.14	1.24	1.98
		6 აპრილი						
18:00	64	ევერტონი-დერბი	1.30	4.50	11.00	1.00	1.16	3.19
15:30	68	მიდლსბრო-მანჩესტერი	7.30	4.10	1.40	2.62	1.17	1.04
		8 აპრილი						
22:45	71	ვესტ ჰემი-პორტსმუთი	2.30	3.20	3.00	1.33	1.30	1.54
		ინგლისი. ჩემპიონატი						
		1 აპრილი						
22:45	72	უენსდი-ქოვენთრი	2.15	3.20	3.20	1.28	1.28	1.60
22:45	73	კარდიფი-ვესტ ბრომვიჩი	2.50	3.20	2.55	1.40	1.26	1.41
		ინგლისი. I ლიგა						
		1 აპრილი						
22:45	86	დონკასტერი-ლიდსი	2.05	3.20	3.20	1.24	1.24	1.60
22:45	87	კარლაილი-ნოტინგემი	2.00	3.20	3.40	1.23	1.25	1.64
22:45	88	ჯილინგემი-ლუტონი	2.10	3.20	3.20	1.26	1.26	1.60
		ინგლისი. II ლიგა						
		1 აპრილი						
22:45	101	როჩდეილი-ბრედფორდი	1.90	3.30	3.65	1.20	1.24	1.73
22:45	102	მენსფილდი-რექსემი	2.15	3.30	3.00	1.30	1.25	1.57
22:45	103	ბარნეტი-დარლინგტონი	2.80	3.30	2.20	1.51	1.23	1.32
		ინგლისი. კონფერენსი						
		1 აპრილი						
22:45	117	ჰისტონი-ნორთვიჩი	1.90	3.40	3.50	1.21	1.23	1.72
22:45	118	კიდერმინსტერი-ებსფლითი	2.15	3.30	3.00	1.30	1.25	1.57
22:45	119	სტივენეიჯი-იორკი	1.65	3.40	4.70	1.11	1.22	1.97
22:45	120	გრეისი-სტეფორდი	1.45	3.80	6.50	1.04	1.18	2.39
22:45	121	დროილსდენი-ტორკი	7.00	3.80	1.45	2.46	1.20	1.04
		გერმანია. რეგიონალლიგა (სამ.)						
		2 აპრილი						
18:00	17	ბურგჰაუზენი-რეუტლინგენი	2.00	3.20	3.20	1.23	1.23	1.60
		შვეიცარია. სუპერლიგა						
		2 აპრილი						
20:45	209	გრასჰოპერი-ბაზელი	2.80	3.20	2.30	1.49	1.26	1.33
		შვეიცარია. ჩელენჯლიგა						
		1 აპრილი						
18:45	214	ბელინცონა-ჩამი	1.20	5.20	10.00	1.00	1.07	3.42
		2 აპრილი						
20:45	18	ლოზანა-ლოკარნო	1.75	3.30	4.00	1.14	1.21	1.80
20:45	19	ივერდონი-სერვეტი	2.00	3.20	3.20	1.23	1.23	1.60
		ესპანეთი. I დივიზიონი						
		5 აპრილი						
22:00	270	ოსასუნა-უელვა	1.90	3.20	4.00	1.19	1.28	1.77
23:45	274	მალიორკა-რეალი	3.70	3.10	2.00	1.68	1.29	1.21
		6 აპრილი						
21:00	264	სევილია-ვილიარეალი	2.10	3.20	3.30	1.26	1.28	1.62
19:00	265	ატლეტიკო-ალმერია	1.60	3.40	6.00	1.08	1.26	2.17
19:00	266	ლევანტე-ვალიადოლიდი	2.75	3.10	2.45	1.45	1.29	1.36
19:00	267	სარაგოსა-ბეტისი	2.05	3.10	3.50	1.23	1.29	1.64
23:00	268	ბარსელონა-ხეტაფე	1.40	4.10	8.00	1.04	1.19	2.71
19:00	271	ბილბაო-ესპანიოლი	2.10	3.10	3.40	1.25	1.29	1.62
19:00	272	რასინგი-დეპორტივო	1.90	3.20	4.00	1.19	1.28	1.77
19:00	273	მურსია-ვალენსია	2.80	3.10	2.45	1.47	1.30	1.36
		საფრანგეთი. II დივიზიონი						
		1 აპრილი						
22:00	300	რეიმსი-ბასტია	2.55	2.85	2.85	1.34	1.34	1.42
		დანია. სუპერლიგა						
		1 აპრილი						
21:30	16	ლინგბიუ-ოდენსე	5.30	3.70	1.55	2.17	1.19	1.09
		იაპონია						
		2 აპრილი						
13:00	489	კიოტო-კაშივა	2.35	3.20	2.60	1.35	1.23	1.43
13:00	490	საპორო-კავასაკი	2.90	3.20	2.20	1.52	1.25	1.30
13:00	491	ოიტა-გამბა	3.20	3.20	2.00	1.60	1.23	1.23
13:00	492	ომია-ნაგოია	2.25	3.20	2.75	1.32	1.23	1.47
13:00	493	იჩიჰარა-კობე	2.25	3.20	2.80	1.32	1.24	1.49
13:00	494	ვერდი-ივატა	2.45	3.20	2.55	1.38	1.24	1.41
13:00	495	იოკოჰამა ფმ-ტოკიო	1.85	3.40	3.60	1.19	1.22	1.74
13:00	496	ნიიგატა-კაშიმა	2.80	3.20	2.25	1.49	1.24	1.32
13:00	497	შიმიცუ-ურავა	2.45	3.20	2.50	1.38	1.23	1.40
		ჩემპიონთა ლიგა						
		1 აპრილი						
22:45	1	რომა-მანჩესტერი	2.60	3.10	2.70	1.41	1.32	1.44
22:45	2	შალკე-ბარსელონა	3.35	3.20	2.15	1.63	1.30	1.28
		2 აპრილი						
22:45	4	ფენერბაჰჩე-ჩელსი	3.90	3.10	2.05	1.72	1.34	1.23
		5 აპრილი						
22:45	3	არსენალი-ლივერპული	2.15	3.10	3.60	1.26	1.34	1.66
		უეფას თასი						
		3 აპრილი						
22:45	5	რეინჯერსი-სპორტინგი	2.15	3.10	3.25	1.26	1.29	1.58
20:30	6	ლევერკუზენი-ზენიტი	1.65	3.40	5.10	1.11	1.24	2.03
22:45	7	ბაიერნი-ხეტაფე	1.45	3.60	7.50	1.03	1.21	2.43
22:45	9	ფიორენტინა-პსვ	1.85	3.20	4.00	1.17	1.26	1.77
		ინგლისი. თასი						
		5 აპრილი						
15:15	14	ვესტ ბრომვიჩი-პორტსმუთი	4.30	3.30	1.85	1.86	1.29	1.18
		6 აპრილი						
19:00	15	ბარნსლი-კარდიფი	3.10	3.20	2.20	1.57	1.28	1.30
		საბერძნეთი. თასი						
		2 აპრილი						
18:45	841	ტრასივოულოსი-ოლიმპიაკოსი	8.00	3.80	1.35	2.57	1.15	1.00

შესაძლო ცვლილებები დაიზუსტეთ ადგილზე

			1	X	2	1-X	1-2	X-2
21:00	842	არისი-ატრომიტოსი	1.50	3.40	6.10	1.04	1.20	2.18
		პოლონეთი. თასი						
		1 აპრილი						
20:00	20	გროცლინი-რუხი	1.50	3.60	5.80	1.05	1.19	2.22
20:15	21	არკა-ვისლა	4.70	3.40	1.65	1.97	1.22	1.11
20:15	22	ზაგლებე ლ-პოლონია	1.60	3.40	5.00	1.08	1.21	2.02
		2 აპრილი						
20:15	23	ლეგია-ლეჩნა	1.30	4.40	8.20	1.00	1.12	2.86
		ლიბერტადორესის თასი						
		1 აპრილი						
23:45	844	სანტოსი-სან ხოსე	1.20	5.50	10.00	1.00	1.07	3.54
23:45	845	უნ კატოლიკა-სან მარტინი	1.70	3.40	4.40	1.13	1.22	1.91
		2 აპრილი						
23:45	843	რეალ პოტოსი-კარაკასი	2.30	3.20	2.70	1.33	1.24	1.46
23:45	846	ლანუსი-ესტუდიანტესი	2.30	3.20	2.70	1.33	1.24	1.46
23:45	847	სან პაულო-სპორტივო ლ	1.25	5.00	9.00	1.00	1.09	3.21
23:45	848	ფლუმინენსე-ლიბერტადი	1.30	4.20	8.00	1.00	1.11	2.75
		3 აპრილი						
23:45	849	კრუზეირო-სან ლორენცო	1.70	3.40	4.40	1.13	1.22	1.91
23:45	850	ატლეტიკო ნაც-აუდასი	1.65	3.40	4.65	1.11	1.21	1.96
23:45	851	ამერიკა-რივერ პლეიტი	2.30	3.20	2.75	1.33	1.25	1.47
		4 აპრილი						
23:45	852	მონტევიდეო-კორონელ ბოლონესი	1.30	4.40	8.50	1.00	1.12	2.89

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ჰოკეი. ჩეხეთი						
		1 აპრილი						
19:00	652	ბუდეიოვიცე-კარლოვი ვარი	1.60	4.20	4.00	1.15	1.14	2.04
		ჰოკეი. გერმანია						
		1 აპრილი						
18:00	839	აისბარენი-დიუსელდორფი	1.60	4.30	4.00	1.16	1.14	2.07
18:00	840	კიოლნი-ფრანკფურტი	1.70	4.40	3.30	1.22	1.12	1.88
		კალათბურთი. ევროლიგა						
		1 აპრილი						
22:45	787	სიენა-ფენერბაჰჩე	1.10	12.00	5.50	1.00	1.00	3.77
22:45	788	ტაუ-პარტიზანი	1.10	12.00	5.50	1.00	1.00	3.77
22:45	789	მაკაბი-ბარსელონა	1.40	12.00	2.80	1.25	1.00	2.27
22:45	790	ცსკა-ოლიმპიაკოსი	1.25	12.00	3.50	1.13	1.00	2.70
		ხელბურთი.კაცები.შვედეთის ჩემპიონატი						
		1 აპრილი						
18:00	824	ჰამარბი-გუიფი	1.15	12.00	5.50	1.04	1.00	3.77
18:00	825	ისტადი-რედბერგსლიდსი	1.50	9.00	2.60	1.28	1.00	2.01
		ხელბურთი.კაცები გერმანიის ჩემპიონატი						
		2 აპრილი						
18:00	800	ნორდჰორნი-ფლენსბურგი	2.00	7.00	1.95	1.55	1.00	1.52
18:00	801	კილი-ესენი	1.01	12.00	10.00	1.00	1.00	5.45
18:00	802	ვეტცლარი-რეინ ნეკარი	3.00	9.00	1.40	2.25	1.00	1.21
18:00	804	ჰამბურგი-ბალინგენი	1.01	12.00	10.00	1.00	1.00	5.45

I ტაიმის შედეგი

		1	X	2	1-X	1-2	X-2
10001	რომა-მანჩესტერი	3.00	2.00	2.95	1.20	1.48	1.19
10002	შალკე-ბარსელონა	3.90	2.00	2.25	1.32	1.42	1.05
10003	არსენალი-ლივერპული	2.55	2.00	3.55	1.12	1.48	1.27
10004	ფენერბაჰჩე-ჩელსი	4.30	2.00	2.20	1.36	1.45	1.04
10005	რეინჯერსი-სპორტინგი	2.55	2.00	3.55	1.12	1.48	1.27
10006	ლევერკუზენი-ზენიტი	2.05	2.10	5.30	1.03	1.47	1.50
10007	ბაიერნი-ხეტაფე	1.80	2.20	6.00	1.00	1.38	1.60
10009	ფიორენტინა-პსვ	2.25	2.00	4.40	1.05	1.48	1.37

I ტაიმი/ძირითადი დრო

		1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2
11001	რომა-მანჩესტერი	3.80	10.00	20.00	4.60	4.40	4.60	20.00	10.00	3.80
11002	შალკე-ბარსელონა	5.30	10.00	20.00	6.00	4.40	4.00	20.00	10.00	3.00
11003	არსენალი-ლივერპული	3.20	10.00	20.00	4.20	4.40	5.60	20.00	10.00	5.00
11004	ფენერბაჰჩე-ჩელსი	5.30	10.00	20.00	6.00	4.40	4.00	20.00	10.00	3.00
11005	რეინჯერსი-სპორტინგი	3.20	10.00	20.00	4.20	4.40	5.60	20.00	10.00	5.00
11006	ლევერკუზენი-ზენიტი	2.30	10.00	20.00	3.50	4.60	7.50	20.00	10.00	7.00
11007	ბაიერნი-ხეტაფე	1.85	12.00	25.00	3.50	4.60	10.00	20.00	10.00	10.00
11009	ფიორენტინა-პსვ	2.80	10.00	20.00	3.80	4.40	6.50	20.00	10.00	5.60

რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

		ნაკ.	მეტ.
12001	რომა-მანჩესტერი	1.60	2.10
12002	შალკე-ბარსელონა	1.60	2.10
12003	არსენალი-ლივერპული	1.60	2.00
12004	ფენერბაჰჩე-ჩელსი	1.60	2.00
12005	რეინჯერსი-სპორტინგი	1.55	2.20
12006	ლევერკუზენი-ზენიტი	1.60	2.10
12007	ბაიერნი-ხეტაფე	1.80	1.80
12009	ფიორენტინა-პსვ	1.60	2.00

გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს. (ძირითადი დრო)

		ნაკ.	მეტ.
13001	რომა-მანჩესტერი	1.80	1.80
13002	შალკე-ბარსელონა	1.70	1.90
13003	არსენალი-ლივერპული	1.70	1.90
13004	ფენერბაჰჩე-ჩელსი	1.80	1.80
13005	რეინჯერსი-სპორტინგი	1.70	1.90
13006	ლევერკუზენი-ზენიტი	1.70	1.90
13007	ბაიერნი-ხეტაფე	1.70	1.90
13009	ფიორენტინა-პსვ	1.70	1.90

რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს (მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე შესონი წაგებულად ჩაითვლება)

14001	რომა-მანჩესტერი	1.90	1.90
14002	შალკე-ბარსელონა	2.10	1.75
14003	არსენალი-ლივერპული	1.75	2.10
14004	ფენერბაჰჩე-ჩელსი	2.10	1.75
14005	რეინჯერსი-სპორტინგი	1.75	2.10
14006	ლევერკუზენი-ზენიტი	1.45	2.40
14007	ბაიერნი-ხეტაფე	1.20	2.60
14009	ფიორენტინა-პსვ	1.65	2.30

რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

		I-ში	თანაბრად	II-ში
15001	რომა-მანჩესტერი	3.00	2.80	2.00
15002	შალკე-ბარსელონა	3.00	2.80	2.00
15003	არსენალი-ლივერპული	3.00	2.80	2.00
15004	ფენერბაჰჩე-ჩელსი	3.00	2.80	2.00
15005	რეინჯერსი-სპორტინგი	3.00	2.80	2.00
15006	ლევერკუზენი-ზენიტი	3.00	2.80	2.00
15007	ბაიერნი-ხეტაფე	3.00	2.80	2.00
15009	ფიორენტინა-პსვ	3.00	2.80	2.00

ფრეს გარეშე (ძირ დრო)

16001	რომა-მანჩესტერი	1.80	1.85
16002	შალკე-ბარსელონა	2.40	1.45
16003	არსენალი-ლივერპული	1.52	2.20
16004	ფენერბაჰჩე-ჩელსი	2.90	1.32
16005	რეინჯერსი-სპორტინგი	1.52	2.20
16006	ლევერკუზენი-ზენიტი	1.23	3.60
16007	ბაიერნი-ხეტაფე	1.12	4.60
16009	ფიორენტინა-პსვ	1.32	3.00

გოლი:ყველი-10%ს კენტი-2 (0:0 ითვლება ყველად)

17001	რომა-მანჩესტერი	1.85	1.95
17002	შალკე-ბარსელონა	1.85	1.95
17003	არსენალი-ლივერპული	1.85	1.95
17004	ფენერბაჰჩე-ჩელსი	1.85	1.95
17005	რეინჯერსი-სპორტინგი	1.85	1.95
17006	ლევერკუზენი-ზენიტი	1.85	1.95
17007	ბაიერნი-ხეტაფე	1.85	1.95
17009	ფიორენტინა-პსვ	1.85	1.95

NBA რეგულარული ჩემპიონატი

ატლანტამ წამი დაიჭირა



ჯო ჯონსონი

30 მარტი

ატლანტა 114:109 ნიუ იორკი

ატლანტა: ბიბი (16), ჯონსონი (25 ქულა, 13 პასი), უილიამსი (27 ქულა, 11 მოხსნა), სმიტი (7 ქულა, 11 მოხსნა), ჰორფორდი (18 ქულა, 13 მოხსნა); ჩილდრესი (16), ფაჩულია (12 წუთი, 4 ქულა, 2 მოხსნა), ვესტი (1), ლოუ

ნიუ იორკი: კროუფორდი (39), რიჩარდსონი (8), ჩანდლერი (8), ლი (17 ქულა, 10 მოხსნა), ჯეფრისი (6); რობინსონი (12), როუზი (8), ჯონსი (6), მორისი (3), ბალკმანი (2)

სან ანტონიო 109:88 ჰიუსტონი

სან ანტონიო: ფინლი (22), პარკერი (22), ჯინობილი (14), დანკანი (13)

ჰიუსტონი: სკოლა (24), მაკგრეიდი (13), ელსტონი (13)

მინესოტა 110:103 იუტა

მინესოტა: ჯეფერსონი (22), გომესი (17), ბრიუერი (16), მაკკანტსი (16)

იუტა: ბუზერი (25 ქულა, 10 მოხსნა), ბრიუერი (20), უილიამსი (15 ქულა, 13 პასი)

ბოსტონი 88:62 მაიამი

ბოსტონი: პოუ (17 ქულა, 13 მოხსნა), გარნეტი (12)

მაიამი: დევისი (14), ქუინი (14)

კლივლენდი 91:88 ფილადელფია

კლივლენდი: ჯეიმსი (26 ქულა, 9 მოხსნა, 9 პასი), ვესტი (18 ქულა, 11 პასი), ილგაუსკასი (14)

ფილადელფია: იგუდალა (19), უილიამსი (17), მილერი (16 ქულა, 9 პასი, 5 ჩაჭრა)

ტორონტო 111:118 ნიუ ორლეანი

ტორონტო: ბოში (21), დელფინო (18), ნესტეროვიჩი (14)

ნიუ ორლეანი: ვესტი (32), სტოიაკოვიჩი (25), პოლი (20 ქულა, 16 პასი)

გოლდენ სტეიტი 114:104 დალასი

გოლდენ სტეიტი: ელისი (30), დევისი (21), ბიედრინსი (16 ქულა, 14 მოხსნა), ჯეკსონი (16)

დალასი: ჰოვარდი (36), ბასი (21), ტერი (15), კიდი (13 ქულა, 14 პასი, 9 მოხსნა)

სიეტლი 107:120 საკრამენტო

სიეტლი: დურანტი (25), გრინი (21), უოტსონი (20 ქულა, 12 პასი)

საკრამენტო: მარტინი (31), არტესტი (29 ქულა, 12 მოხსნა, 4 ჩაჭრა), გარსია (21)

ლეიკერსი 126:120 ვაშინგტონი

ძირითადი დრო 111:111

ლეიკერსი: ბრაიანტი (26 ქულა, 13 პასი), ვუიაჩიჩი (20), უოლტონი (18), ფიშერი (17)

ვაშინგტონი: სტივენსონი (27), იანგი (27), ბატლერი (17 ქულა, 12 მოხსნა, 12 პასი)

რეგულარული ჩემპიონატის ბოლო კვირებში „ატლანტა ჰოქსს“ სერიოზულად გაბრძოლება სწყურია და რაღაც გამოსდის კიდეც. 1999 წლის შემდეგ ეს გუნდი არასდროს მდგარა პლეი ოფთან ასე ახლოს. სწორედ ახლა დაუდგა საკუთარი თავისთვის საკითხის მწვავედ დასმის ჟამი — „ან ახლა, ან არასდროს!“ გაუმართლა კიდეც, რომ ზედიზედ სამჯერ სუსტ მეტოქესთან მოუხდა შეხვედრა და სამივე მოიგო, რის შემდეგაც შესამჩნევლად გაასწრო აღმოსავლეთში პლეი ოფის მერვე და უკანასკნელი საგზურისთვის ბრძოლაში ყველაზე რეალურ კონკურენტ „ნიუ ჯერსის“.

„ნიუ იორკი“ სუსტი კია, მაგრამ „ატლანტას“ მაინც დიდი ბრძოლა გაუმართა. მასპინძლებმა ვერაფერი მოუხერხეს „ნიქსის“ ორმეტრიან, ღვედივით მოქნილ გამთამაშებელ ჯამაალ კროუფორდს, ვინც 7 სამქულიანი, სულ 39 ქულა ჩაგდო და ზედ 8 პასი მიაყოლა. დაცვაში ამ ბიჭის წინააღმდეგ სუსტი თამაში „ქორებმა“ შეტევაში ჩაუქობით გამოასწოროეს, სადაც ბობოქრობდა მათი ლიდერი ჯო ჯონსონი. მან 25 ქულას სეზონში უბევრესი, 13 პასი დაურთო და კარგად დასაქმა მთელი გუნდი. ნომინალურმა გამთამაშებელმა მაიკ ბიბიმაც 16 ქულასთან ერთად 9 პასიც გაჩარხა. მოკლედ, „ჰოქსმა“ „ნიუ იორკის“ დაცვაში ისეთი გვირაბები გაიყვანა, რომ ერთბაშად ხუთმა ატლანტელმა გააკეთა 16 და მეტი ქულა.

დღის სხვა მატჩებიდან გამორჩევით ვახსენოთ დასავლელ მეპლეიოფეთა სასტიკი ჯახები — ჯეისონ კიდმა, რაც „დალასში“ გადავიდა, ალბათ საუკეთესო მატჩი ჩაატარა, თითქმის შეასრულა სამმაგი დუბლი, მაგრამ მისმა გუნდმა მაინც წააგო უშუალო კონკურენტ „გოლდენ სტეიტთან“ და გვარიანად გაიფუჭა საცხრილო ვითარება. „დალასს“ ისედაც ცუდი კალენდარი აქვს და ალბათ კიდევ უფრო დაიხევს.

ტეხასურ დერბიში „სან ანტონიომ“ უიოლესად დაამარცხა „ჰიუსტონი“ და ვინძლო საბოლოოდ დააკარგვინა დასავლეში პირველობის ამბიცია.

** კოტე ყორშია**

აღმოსავლეთი				NBA	დასავლეთი			
ბოსტონი	58	15	79,5	NBA	ნიუ ორლეანი	50	22	69,4
დეტროიტი	52	21	71,2	NBA	სან ანტონიო	51	23	68,9
ორლანდო	47	27	63,5	NBA	ლეიკერსი	50	24	67,6
კლივლენდი	41	33	55,4	NBA	იუტა	48	26	64,9
ვაშინგტონი	38	35	52,1	NBA	ფინიქსი	49	24	67,1
ტორონტო	37	36	50,7	NBA	ჰიუსტონი	49	24	67,1
ფილადელფია	37	37	50,0	NBA	დენვერი	45	28	61,6
ატლანტა	33	40	45,2	NBA	დალასი	45	28	61,6
ნიუ ჯერსი	31	43	41,9	NBA	გოლდენ სტეიტი	45	28	61,6
ინდიანა	30	43	41,1	NBA	პორტლენდი	38	36	51,4
ჩიკაგო	29	44	39,7	NBA	საკრამენტო	33	40	45,2
შარლოტი	28	45	38,4	NBA	კლიპერსი	22	51	30,1
მილუოკი	24	48	33,3	NBA	მინესოტა	19	53	26,4
ნიუ იორკი	20	53	27,4	NBA	მემფისი	19	54	26,0
მაიამი	13	60	17,8	NBA	სიეტლი	17	57	23,0

პირველ ოთხეულში გარანტირებული აქვს ადგილი სამი დივიზიონის სამ ლიდერს (აღნიშნულია დახრილი შრიფტით); მთავრული შრიფტით გამორჩეულები გავიდნენ პლეი ოფში

ლიტვაში როკი დადუმდა

გიორგი ცინცაძე

გასული კვირა ქართული ლეგიონისთვის გამორჩეული იყო, ოღონდ უარყოფითი კუთხით. ევროპაში მოთამაშე ყველა ჩვენებურის გუნდმა წააგო და არც ქართველებს გამოუდვიათ დიდად თავი. გიორგი ცინცაძის „როკი“ ბალტიის ლიგიდან გამოვარდა, ხოლო მანუჩარ მარკოიშვილის „ბკ კიევმა“ უკრაინის ჩემპიონატში პირველი მატჩი წააგო, თუმც მანუს ტრავმის გამო არ უთამაშია. ახლა კი უფრო კონკრეტულად...

ესტონეთი

გიორგი ცინცაძე ამას წინათ ამბობდა, ბალტიის ლიგის პლეი ოფში სასურველი მეტოქე შეგვხდაო, თუმცა მისი „როკი“ ლიტვური „შაულიაი“ მძლეველი ვერ აღმოჩნდა. ბალტიის ლიგის სხვა მეპლეიოფეებს შორის „შაულიაი“ კი იყო ყველაზე სასურველი მეტოქე, მაგრამ თამაშებს მოგება უნდოდა, რაც „როკერებმა“ ვეღარ შეძლეს.

პირველი მატჩი ესტონეთში ლიტველთა ორქულიანი გამარჯვებით დასრულდა და „როკერებს“ საპასუხო შეხვედრის წინ იმედის ნაპერწკალი მაინც შერჩენოდათ. ტარტუელები გაუძალიანდნენ კიდეც მეტოქეს და ბოლო მეოთხედის წინ გარკვეული არაფერი იყო, თუმცა ბოლო ათწუთეულში „შაულიაიმ“ იყოჩალა და „როკი“ 70:63 დაამარცხა.

ცინცაძე ბომბარდირი ვერა, მაგრამ მთავარმეპასე კი გახდა. ქართველმა გამთამაშებელმა 38 წუთში 13 ქულა და 7 პასი მიითვალა, მაგრამ ამით „როკერებს“ ვერ უშველა.

ესტონეთის ჩემპიონატის მორიგ ტურში მარცხი იწვნია სერგო ათუაშვილის ტტუ-მაც, რომელიც შინ „პირიტასთან“ განადგურდა — 64:103. 223-სანტიმეტრიანმა ქართველმა 14 წუთში 9 ქულა და 5 მოხსნა მოაგროვა და თავის გუნდში ბომბარდირობამდე კინკილა ქულა დააკლდა.

უკრაინა

შიდაჩემპიონატში 22 გამარჯვების შემდეგ, როგორც იქნა, „ბკ კიევიც“ დამარცხდა. დედაქალაქელების წაგება მოსალოდნელი იყო, რადგან მათ უკვე გაინაღდეს რეგულარული ჩემპიონატის მოგება და დარჩენილ თამაშებში თავს რომ არ მოიკლავენ, თქმა არ უნდა. თანაც კიეველები მეორე ადგილზე მყოფ „აზოვმაშს“ სტუმრობდნენ, რომელიც მათ ერთადერთ კონკურენტად ითვლება უკრაინის ჩემპიონატში.

როგორც ვთქვით, მარკოიშვილს არ უთამაშია — მას მცირე ტრავმა აწუხებს და მწვრთნელებიც მოერიდნენ ქართველის დატვირთვას. კიეველებმა მთელი 21 ქულით წააგეს პირველი მეოთხედი და თამაშის გადასარჩენად თავი ადარც შეუწუხებიათ.

ესპანეთი

გავარდნის საფრთხეარიდებულმა „კახასოლმა“ თავს განტვირთვის საშუალება მისცა და პრიმერადივიზიონის მორიგ ტურში სევილიაში „ესტუდიანტესთან“ „ვალენსიენა“. ქართველად ნატურალიზებული ტარონ ელისის გუნდი 91:103 დამარცხდა, ჩვენი ნაკრების უკანასკნელმა კი 32 წუთში 8 ქულას და თითო მოხსნა-პასს მოუყარა თავი.

საბერძნეთი

წაგებები დასჩემდა ვლადიმერ ბოისას „არისს“. სალონიკელები საბერძნეთის ჩემპიონატში ქვესაშუალო „პანიონიოსთან“ დამარცხდნენ, თუმცა თავი ქუდში აქვთ — მესამე ადგილზე არიან, არც ზემოთ ანაცვლების პერსპექტივა აქვთ და ძალვარიც შორსაა. ბოისამ 14 წუთი ითამაშა და 3 ქულას დასჯერდა.

ირაკლი პერტაია

გიორგი შერმადინმა პირველი ამერიკული ტესტი ჩააბარა

გიორგი შერმადინი უკვე ერთი კვირაა, ამერიკაშია და ნბა-ს დრაფტისთვის ემზადება. თბილისური „მაკაბის“ პერსპექტიულ მოთამაშესთან ამერიკულმა სატრანსფერო სააგენტო „ლაივ სპორტმა“ გააფორმა კონტრაქტი და სწორედ ამ კომპანიის მიწვევით იმყოფება ახლა შერმადინი ამერიკაში. დრაფტამდე ჯერ მთელი სამი თვეა, მანამდე კი ქართველ ცენტრს ცნობილი ამერიკელი მწვრთნელები ავარჯიშებენ. „ლაივ სპორტის“ ხელმძღვანელმა ტოდ რამასარმა გუშინწინ წერილი გამოუგზავნა „მაკაბის“ თავკაც ჯამლეტ ხუხაშვილს, სადაც შერმადინის პირველი ვარჯიშისა და შთაბეჭდილებების შესახებ მოუთხრობს...

გიორგიმ ვარჯიში დაიწყო ოთხშაბათს ATHLETES PERFORANCE-ს ჯგუფთან ერთად, HOME DEPOT CENTER-ში. მას მწვრთნელების მთელი ჯგუფი დახვდა და მცირე გასაუბრების შემდეგ გიორგის აუცილებელ კითხვებზე პასუხების გაცემა მოუხდა. ამით ჩვენ წარმოდგენა შეგვექმნებოდა გიორგის საკალათბურთო განათლებასა და იმაზე, თუ რამდენად მზად არის იგი ინტენსიური ვარჯიშისთვის.

გიორგი დაიტვირთა სატრენაჟორო დარბაზში და საკალათბურთო მოედანზე. მას ჩაუტარდა თეორიული მეცადინეობას, რამაც მის პროგრესს ხელი შეუწყო.

გიორგის სირბილში ჩაბარებულია ტესტმა მისი ამტანობა და გამძლეობა შეგვამოწმებინა. გიორგიმ გამოცდა ძალიან კარგად ჩააბარა და ეს არის ის ტესტი, რომელიც ATHLETES PERFORANCE-სთან ერთად სხვადასხვა დროს ცნობილმა კალათბურთელებმა, ჩოგბურთელებმა და სპორტის სხვა სახეობების წარმომადგენლებმა ჩააბარეს. გიორგის შედეგი ყველა დროის ხუთ საუკეთესოში შევიდა და მონაცემებით იგი ისეთი ვარსკვლავების გვერდითაა, როგორებიც ვინს კარტერი, ჯერმენ ონილი, რონ არტესტი, ანდრეი კირილენკო და კრის ბოში არიან.

ამ ტესტის შემდეგ გიორგი პირადად ავარჯიშა კარტერის, ონილის, არტესტის, კირილენკოს, გარნეტისა და სხვა არაერთი ვარსკვლავის პირადმა მწვრთნელმა ჯო აბუნასარმა, რომელსაც რამდენიმე საკუთარი დარბაზი და სავარჯიშო კომპლექსი გააჩნია. ვარჯიშმა დიდხანს გასტანა, რის დროსაც შერმადინი სხვადასხვა სროლების დემონსტრირებას ახდენდა და აღსანიშნავია, რომ სამქულიანებიც წარმატებით შეასრულა. თუ გავითვალისწინებთ, რომ შერმადინს 23-საათიანი მგზავრობის შემდეგ მოუხდა ვარჯიში, მისი შედეგი ორმაგად დასაფასებელია. ჯო აბუნასარის თქმით, გიორგი ელიტური მოთამაშეა, რომელიც თავისი სიმაღლისა და ასაკისთვის არაჩვეულებრივი ათლეტია. დიეტის დაცვითა და დამატებითი ვარჯიშით გიორგი კიდევ უფრო ძლიერი მოთამაშე გახდება და დამდეგ დრაფტზე ერთ-ერთი საუკეთესო იქნება.

როგორც ჩანს, გიორგიმ საქართველოში უკვე ითვისა თითქმის ყველა რთული და მთავარი საკალათბურთო ნიუანსი და ამ ეტაპზე გასაუმჯობესებელი მხოლოდ და მხოლოდ მისი ფიზმომზადებაა. როგორც კი გიორგი აქაურ ვარჯიშებს ალღოს ბოლომდე აუღებს და ჩვეულ რიტმში ჩაჯდება, იგი კიდევ უფრო სახიფათო და ხროლეყოფილ მოთამაშე გახდება. შერმადინის სხეული მზად არის, რომ სამ კვირაში კიდევ უფრო მომძლავრდეს.

ჭვირუტი QUARTZITE
ლიბერ



ჩეხეთთანაც რუსი ოქო საფიქრალი

დავით კაკაბაძე რადიო „თავისუფლების“ ქართული რედაქციის რედაქტორია. მას „სარბიელისთვის“ ადრეც არაერთხელ მოუწოდებია საინტერესო ინფორმაცია. „ერთა თასზე“ ჩეხეთ — საქართველოს მატჩისწინა პერიპეტიებზეც ბატონმა დავითმა გვიამბო. ახლა კი ცოცხლად ნახულ შეხვედრაზე თავისი შთაბეჭდილებები გაგვიზიარა...

საქართველოს ნაკრებმა ჩეხეთის ეროვნულ გუნდს მესამე შემადგენლობითაც საკმაოდ ადვილად მოუგო. თუმცა, უნდა ითქვას, რომ მასპინძლებმა მეოგარი წინააღმდეგობა გაგვიწიეს, რასაც „ლელოები“, ვფიქრობ, ნამდვილად არ მოელოდნენ და ეს ყველაფერი ანგარიშზეც აისახა. მატჩის შემდეგ გახდა ცნობილი, რომ ჩეხეთის ნაკრები ჩვენთან სათამაშოდ გვარიანად მომზადებულა. მათ თურმე საქართველოს ნაკრების მონაწილეობით ჩატარებული შეხვედრების ვიდეოჩანაწერების ანალიზსაც მრავალი საათი დაუთმეს და „ლელოების“ შემადგენლობის არაოპტიმალურობით დაიმედებულები, მოედანზეც ორმაგად მოტივირებულნი გავიდნენ. ჩეხებს არც შეხვედრის შემდეგ დაუმალავთ გულისწყრომა — პრესტიჟის გამარჯვებას ვგეგმავდით და, სამწუხაროდ, არ გამოგვივიდა — თქვა ერთ-ერთმა მორაგბემ.

თამაშზე მაყურებელი მრავლად მოვიდა. სასიამოვნო სიურპრიზი იყო ტრიბუნებზე პრაღაში მცხოვრები ქართველების ნახვა. ისინი არც რაოდენობით ჩამოუვარდებოდნენ ჩეხეთის ნაკრების ქომაგთ და გულშემატკივრობაშიც გაცილებით ეფექტურნი იყვნენ.

როგორც იცით, მატჩში ანგარიში მასპინძლებმა გახსნეს. მათ 3:0-ზე მეორე საჯარიმოს გატანაც შეეძლოთ, მაგრამ დამრტყმელმა ვერ ივარგა.

შესვენებიდან „ლელოები“ თითქოს ფრთაშესხმულები მობრუნდნენ მოედანზე. ვერ გეტყვით, როგორ დამოძღვრა ტიმ ლეინმა ბიჭები, მაგრამ 50-ე წუთიდან რომ ჩეხებს ძალიან გაუჭირდათ, ეს ფაქტია. ქართველებმა ხელდახელ რაგბობა გაჩაღეს. ჯერ კიდევ 10:3-ზე ორი მოსახერხებელი ჯარიმა არ დაარტყეს. ერთი ეგ ვიცი, მორაგბეებისთვის ტიმ ლეინს უთქვამს, კომბინაციები აკეთეთ და რაც შეილება, ბურთი დიდხანს აკონტროლეთო.

მოკლედ, მატჩი მოვიგეთ, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ჩვენები მოთამაშეებიან-სამწვრთნელო შტაბიანად უკმაყოფილონი იყვნენ. ლეინმა მხოლოდ ლაშა მალაღურაძეს მოუწონა გარჯა. თავად ლაშამ თქვა, რომ ჩეხებთანაც კი რუსეთთან მომავალ შეხვედრაზე ვფიქრობდით და ამიტომ სათანადოდ ვერ განვეწყვეთო.

ლეინის ასისტენტ ლევან ცაბაძის აზრით კი, საქართველოს ნაკრებმა მწვრთნელის დავალებების ნახევარიც კი ვერ შეასრულა.

„გაცილებით დიდი ანგარიშით უნდა მოგვეგო. დავალებების ორმოცდაათი პროცენტიც ვერ შევასრულეთ. რუსეთთან ანალოგიურის განმეორების შემთხვევაში, ცუდ შედეგს მოვიმკით. მაგრამ იმედი მაქვს, კრასნოიარსკის მატჩში საკვანძო მორაგბეების დაბრუნება გუნდის თამაშის ხარისხს გაცილებით აამაღლებს“ — თქვა ლევან ცაბაძემ.

ბოლოს გეტყვით, რომ კრასნოიარსკში რუსეთის ნაკრებთან ქართველები ყველა გამობრძმედილი ლეგიონერით და ყველა საჭირო რეზერვით გამოვლენ. ასე რომ, წინ ფინალის ტოლფასი შეხვედრა გველის და მასში გამარჯვებას განსაკუთრებული გემო ექნება.

ზვიგენები ხაზზე

ზეკ-14 2008

მე-7 ტურში ახალზელანდიური დერბი იყო — ლიდერი „კრუზეიდერზი“ „ჰარიკანზს“ გასვლაზე ეთამაშა და მორიგი გამარჯვება მიითვალა. „ჯეკაროსნებმა“ მატჩი კარგად დაიწყეს. პირველი ტაიმის ნახევრისკენ კერი ფლეინის და ალი უილიამსის ლელოების, დენ კარტერის ორი გარდასახვის და საჯარიმოს წყალობით 17:3 დაწინაურდნენ. მეორე ტაიმში მასპინძლები შედარებით უკეთ გამოიყურებოდნენ. პირი ვეეპუმ ჯარიმა გაიტანა, მაგრამ დენ კარტერმა უმალვე საჯარიმოთი უპასუხა — „ოლ ბლექსის“ ვარსკვლავმა 45-ოდე მეტრიდან უწია მიზანს.

დარჩენილ დროში მასპინძლები მხოლოდ ერთ ლელოს გამორჩნენ, საბოლოოდ კი შავ-წითლებმა 20:13 მოიგეს.

დურბანულმა „შარკზმა“ წინა ტური გამოტოვა და ისევ მძლავრად მოუბრუნდა ტურნირს. განსაკუთრებით კარგად ითამაშეს „ზვიგენებმა“ ხაზზე. სამიდან ორი ლელო შარკზელთა უკანახაზელებმა მიითვალეს.

მატჩი ერთი საათის განმავლობაში ქულა-ქულაში მიდიოდა. მე-60 წუთისთვის ანგარიში 10:10 იყო, მაგრამ შემდეგ მაინც აფრიკელებმა იძალეს.

ზურაბ მიგრიაული

ჰარიკანზი 13:20 კრუზეიდერზი
ვარათზი 23:19 ჩიტაზი
ფორსი 16:32 შტორმერზი
ჩიფსი 39:24 ჰაილენდერზი
ბლუზი 23:21 ბულზი
შარკსი 22:10 რედზი

კრუზეიდერზი	7	7	0	0	+175	5	33
შარკსი	6	6	0	0	+48	1	25
ბლუზი	7	5	0	2	+77	4	24
ჰარიკანზი	6	4	0	2	+23	3	19
ფორსი	7	4	0	3	-7	3	19
შტორმერზი	7	3	0	4	+9	6	18
ჩიფსი	7	4	0	3	-11	2	18
ვარათაზი	6	4	0	2	+1	1	17
ბრამბიზი	6	3	0	3	-16	3	15
რედზი	7	2	1	4	-29	2	12
ბულზი	7	2	0	5	-78	1	9
ლაიონზი	6	1	1	4	-67	1	7
ჩიტაზი	7	0	0	7	-86	6	6
ჰაილენდერზი	6	0	0	6	-38	5	5

ჩხუბი თეატრში

ჰატარა მოკრივეებმა ჩემპიონები გამოავლინეს

16-წლამდელ მოკრივეთა შორის საქართველოს ჩემპიონატს გურჯაანის თეატრმა უმასპინძლა. არ გეშლებათ, სწორედ ასე იყო. შაბათს გურჯაანში მოკრივეთა პირველობის ფინალური ორთაბრძოლის სანახავად ჩასულები თეატრში მივვიწვიეს. არადა, ამ ქალაქში ახალი სპორტის სასახლეა, როგორც რამდენიმე სხვა ქალაქში. ტურნირის ორგანიზატორების თქმით, შეჯიბრის თეატრში ჩატარება იმიტომ ამჯობინეს, რომ იქ მეტი გულშემატკივარი დაეტეოდა...

თავად ფინალური დაპირისპირებიდან რამდენიმეს გამორჩევა შეიძლება. ძირითადმა ჩხუბებმა კი გამარჯვებულთა ცალსახა უპირატესობით ჩაიარა. 54 კგ-ში ადგილობრივი ლექსო ჭინჭარაძე თავიდან კი ავებდა, მაგრამ მერე გურჯაანელი მაყურებლის მხარდაჭერით გამხნევებულმა იმარჯვა. მას ოქროს მედალთან ერთად, „ჯეოსელისგან“ მესამე თაობის მობილური ტელეფონიც გადასცა დუტა სხირტლაძემ. ასევე თვალსასაჩინო ჩხუბში იჩემპიონა ბადრი ზურაბიანმა (გარდაბანი). გურჯაანის სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე დავით ნამგალაური და კრივის ფედერაციის პრეზიდენტი პეტრე ცისკარიშვილიც სტუმრობდნენ.

საქართველოს ჩემპიონატის პრიზიორებიდან და კიდევ ისაუბრეს, ვინც მაისში, აზერბაიჯანში, პრეზიდენტ ალიევის ტურნირში იყოფაღებს, შეირჩევა ნაკრების წევრები, რომლებიც ივლისში ბულგარეთის ქალაქ პლოვდივში ევროპის ჩემპიონატზე გამოვლენ.

ლექსო მაისურაძე

ჩემპიონები

46 კგ ლევან კოკაშვილი (თბილისი)
48 კგ ავთანდილ ჭუბაბრია (ფოთი)
50 კგ ირაკლი ჭინჭარაული (გარდაბანი)
52 კგ გიგა ბუკია (ფოთი)
54 კგ ლექსო ჭინჭარაძე (გურჯაანი)
57 კგ ჯანო არსენიძე (ქუთაისი)
60 კგ თორნიკე ბიწაძე (ჭიათურა)
63 კგ ვაღარი ჯაფარიძე (ჭიათურა)
66 კგ გიორგი გიორგაძე (თბილისი)
70 კგ გიორგი გულბანი (გარდაბანი)
75 კგ ირაკლი ქამადაძე (თბილისი)
80 კგ ზაზა სტურკი (რუსთავი)
86 კგ ბადრი ზურაბიანი (გარდაბანი)

ევროპა თავისუფლად იწყება

დღეს საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატში ჩაებმება. მოჭიდავეთა ევროპულ ფორუმს ფინური ტამპერე 1-6 აპრილს უმასპინძლებს.

ზაზა თურმანიძის შეგირდებიდან პირველ დღეს ბესარიონ გუნაშვილი (55 კგ), კობა კაკალაძე (66 კგ), რევაზ მინდორაშვილი (84 კგ) და დავით მოძმანაშვილი (120 კგ) იჭიდავებენ, 2 აპრილს კი უკვე დანარჩენი სამი ფალავანი — მალხაზ ქურდიანი (60 კგ), გელა საღირაშვილი (74 კგ) და გიორგი გოგშელიძე (96 კგ) გავა ხალიჩაზე. შეგახსენებთ, რომ თავისუფლებს ტრავმის გამო ოთარ თუშიშვილი (66 კგ) დააკლდათ.

3-4 აპრილს ტამპერეს ხალიჩა ქალებს დაეთმობა, 5-6-ში კი „ანტიკური სები“ იჭიდავებენ. ბეგი დარჩიამ რჩეულთაგან ფინეთში დავით ბეგინაძე (60 კგ) და მანუჩარ კვირკველია 74 კგ არ იახლა.

აქვე გეტყვით, რომ ტამპერეში ოლიმპიადის ლიცენზიებიც გათამაშდება. ჩინეთის საგზურს ჩემპიონი მიიღებს, ხოლო თუ გამარჯვებული უკვე ლიცენზირებული იქნება, მომდევნო ადგილზე გასული და ასე შემდეგ...

ლექსო მაისურაძე

რეგულარული ჩემპიონატი

30 მარტი

პიტსბურგი 3:1 რეინჯერსი
2:1 0:0 1:0
0:1 დუბინსკი (4), 1:1 ჰოსა (11), 2:1 მალკინი (18), 3:1 ტელბოტი (60)

დეტროიტი 1:0 ნეშვილი
0:0 0:0 0:0 1:0 (ოვერტაიმში)
1:0 ფრენცენი (64)

ბუფალო 2:1 ბოსტონი
1:1 0:0 0:0 1:0 (ოვერტაიმში)
0:1 კრეიჩი (3), 1:1 ლუდმანი (11), 2:1 სეკერა (61)

მინესოტა 3:2 კოლორადო
2:0 0:2 0:0 1:0 (ოვერტაიმში)
1:0 როლსტონი (5), 2:0 გაბორიკი (9), 2:1 ფინგერი (22), 2:2 სალეი (32), 3:2 გაბორიკი (64)

ჩიკაგო 5:4 კოლუმბუსი
1:2 2:1 1:1 0:0 (1:0 ბულიტებით)
1:0 ტეივსი (4), 1:1 მერეი (14), 1:2 პეკა (19), 1:3 ჟერდევი (24), 2:3 უილიამსი (29), 3:3 შარპი (38), 3:4 მაკენზი (44), 4:4 პერო (54)

ანაჰაიმი 3:2 დალასი
1:0 1:1 0:1 0:0 (1:0 ბულიტებით)
1:0 შნაიდერი (10), 1:1 მოდანო (27), 2:1 შნაიდერი (35), 2:2 ჰაგმანი (42)

სან ხოსე 3:1 ფინიქსი
2:1 0:0 1:0
1:0 ტორნტონი (1), 1:1 დოუნი (7), 2:1 ტორნტონი (18), 3:1 ბრაუნი (48)

ვანკუვერი 6:2 კალგარი
2:2 3:0 1:0
0:1 მოსი (2), 1:1 სალო (12), 1:2 ლომბარდი (19), 2:2 ნესლუნდი (20), 3:2 ლინდენი (22), 4:2 ლინდენი (27), 5:2 პეტინჯერი (33), 6:2 ისბისტერი (41)

საწყლოსნო სახეობათა ფედერაცია ვეტერან წყალბურთელს, რომის ოლიმპიური თამაშების ვერცხლის მედალოსანს, 1962 წლის ევროპის ვიცე-ჩემპიონს, ღირსების ორდენის კავალერს და უამრავი ჯილდოს მფლობელ
ლერი გოგოლაძეს
ულოცავს 70 წლის იუბილეს და ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს უსურვებს.

ფლორიდაში სერბები დაჩაგრეს

კაცები

კიბისკეინი. აშშ. ჰარდი

საპრიზო 3 770 000 დოლარი

მესამე წრე

დმიტრი ტურსუნოვი (რუსეთი) — ფელიჩიანო ლოპესი (32, ესპანეთი) 4:6 6:3 6:4; **ტომაშ ბერდიხი** (10, ჩეხეთი) - ხუან-კარლოს ფერერო (22, ესპანეთი) 6:1 6:3; **გილერმო კანასი** (15, არგენტინა) — ფერნანდო გონსალესი (17, ჩილე) 7:6 7:5; **იგორ ანდრეევი** (31, რუსეთი) — კევინ ანდერსონი (სამხრეთ აფრიკა) 6:4 6:7 6:4; **რადეკ შტეპანეკი** (27, ჩეხეთი) — ქსავიე მალისი (ბელგია) 6:3 7:6; **ჯეიმს ბლეიკი** (9, აშშ) — ფაბრის სანტოროო (საფრანგეთი) 6:3 6:7 6:4; **პოლ-ანრი მატიო** (16, საფრანგეთი) — კარლოს მოია (20, ესპანეთი) 7:6 7:5; **რაფაელ ნადალი** (2, ესპანეთი) — ნიკლას კიფერი (გერმანია) 6:2 6:4

ქალები

კიბისკეინი. აშშ. ჰარდი

საპრიზო 3 770 000 დოლარი

მესამე წრე

ჟუსტინ ენინი (1, ბელგია) — სარა ერანი (იტალია) 6:2 6:1; **ელენა ვესნინა** (რუსეთი) — ეშლი ჰარკლროუდი (აშშ) 6:4 5:7 6:4; **კაია კანეპი** (ესტონეთი) — პატი შნიდერი (11, შვეიცარია) 7:6 6:1; **სერენა უილიამსი** (8, აშშ) — ფლავია პენეტა (27, იტალია) 6:7 6:3 6:2; **სვეტლანა კუზნეცოვა** (3, რუსეთი) — ვიქტორია აზარენკა (25, ბელარუსი) 1:6 7:5 6:0; **შაჰარ პირი** (16, ისრაელი) — მიშელ ლაშერდე ბრიტუ (პორტუგალია) 6:0 6:2; **კაროლინ ვოზნიაკი** (დანია) — კატარინა სრებოტნიკი (22, სლოვენია) 2:6 6:3 6:1; **ვინუს უილიამსი** (6, აშშ) — მარინა ერაკოვიჩი (ახალი ზელანდია) 6:2 6:1; **საბინ კატარინა ლისიცკი** (გერმანია) — ანა ჩაკვეტაძე (5, რუსეთი) 7:5 6:1; **ელენა დემენტიევა** (10, რუსეთი) — დომინიკა ციბულკოვა (სლოვაკეთი) 6:0 6:7 6:4; **ში შენგი** (ჩინეთი) — ამელი მორესმო (24, საფრანგეთი) 5:7 6:4 6:4; **ელენა იანკოვიჩი** (4, სერბეთი) — ლუსი შაფაროვა (ჩეხეთი) 6:2 6:1; **აი სუგიამა** (იაპონია) — დანიელა ჰანტუხოვა (7, სლოვაკეთი) 6:4 6:7 7:5; **ვერა ზვონარიოვა** (19, რუსეთი) — ალისა კლეიბანოვა (რუსეთი) 6:1 6:4; **დინარა საფინა** (13, რუსეთი) — სიბილ ბამერი (18, ავსტრია) 4:6 6:1 6:0; **ლინდსი დევენპორტი** (32, აშშ) — ანა ივანოვიჩი (2, სერბეთი) 6:4 6:2

კიბისკეინში კაცთა ბადის სერბი ფავორიტი კვირას დაიფრინეს. დიდხანს ლოდინი არც ქალებმა ისურვეს და ნოვაკ ჯოკოვიჩს გუშინ კიდევ ერთი ბალკანელი, ტურნირის მეორე ნომერი ანა ივანოვიჩი მიაყოლეს. ეტყობა, ერთი კვირის წინ ინდიან უელსში ნატრიუმფალ სერბებს ძალიან ეუცნაურათ მშრალი კალიფორნიიდან ასეთივე ცხელ, მაგრამ გაცილებით ნესტიან ფლორიდაში გადაბარგება და ამიტომაც აიკრეს ასე ნაადრევად გუდა-ნაბადი. ისე, იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ კვირას ელენა იანკოვიჩიც ბეწვზე გადაურჩა წაგებას, გამორიცხული არ არის, რომ სერბები კიბისკეინურ ჰავას მართლაც ვერ ეგუებიან.

ივანოვიჩს კი ჯოკოვიჩისგან განსხვავებით, თავის სამართელებელი მაინც აქვს — ნოვაკი თითქმის უცნობ, კვალიფიკაციიდან მოხვედრილ მეტოქესთან დამარცხდა. ანამ კი გამოცდილ და გაცილებით სახელიან ლინდსი დევენპორტთან დაყარა ფარ-ხმალი. ამერიკელს შეიძლება ძველებურად ვეღარ ჩოგნობდეს და სიჩქარეც აკლდეს, მაგრამ კოლოსალური გამოცდილების წყალობით კვლავაც ბევრის გამწარება ხელეწიფება. გუშინ კი ლინდსის თამაში თავიდანვე კარგად წაუვიდა და ამიტომაც უკანა ხაზიდან ჩვეული მძლავრი დარტყმებით ახალგაზრდა მეტოქეს ყველანირი აქტიურობის საშუალება მოუსპო.

ივანოვიჩის გარდა ქალთა ბადიდან კიდევ რამდენიმე ბობოლა დაიფრინეს. უპირველეს ყოვლისა ანა ჩაკვეტაძის მარცხზე ვთქვათ — რუსმა მშვენიერი შარშანდელი სეზონის შემდეგ ეს წელიწადი ძალიან არასტაბილურად დაიწყო. მართალია, ანამ აქა-იქ გაიბრწყინა, მაგრამ ზედიზედ მეოთხე ტურნირია, ორი ეტაპის გადალახვას რომ ვერ ახერხებს. ჩაკვეტაძემ ამჯერად საბინე ლისიცკის ვერ მოუხერხა ვერაფერი. არადა, ამ მატჩამდე გერმანელს ხეირიანი თითქმის არაფერი გაეკეთებინა, თუ ორიოდ თვის წინ დინარა საფინას დამარცხებას არ ჩავთვლით.

კიბისკეინში კვლავაც კოშმარულად თამაშობს დანიელა ჰანტუხოვა. სლოვაკი ლამაზმანი ფლორიდაში უკვე მერვედ ჩავიდა, მაგრამ მესამე წრეზე შორს ერთხელაც არ გასულა. ჰანტუხოვას წერად გუშინ აი სუგიამა იქცა.

სამაგიეროდ მეოთხე წრეს უწიეს დანარჩენმა ფავორიტებმა — ჟუსტინ ენინმა, შავდა უილიამსებმა, სვეტლანა კუზნეცოვამა და უკვე ნახსენებმა იანკოვიჩმა. ამათგან ყველაზე მეტი წვალება უმცროს უილიამსსა და კუზნეცოვას მოუწიათ. რუსი საერთოდ სასწაულით გადაურჩა მარცხს, რადგანაც ვიქტორია აზარენკამ თავიდან მაგრად დაჩაგრა და ჯერ პირველ სეტში კინკილა გეიმი ააღებინა, მეორეში კი 5:2-ს უგებდა და ოდნავ მეტი ფხა რომ გამოეჩინა, დღის კიდევ ერთ სენსაციას გამოაცხობდა. მაგრამ ეტყობა, აქ კუზნეცოვა ძალიან გამწარდა და ზედიზედ 11 გეიმის აღებით ბელარუსს თავისი ადგილი მიუჩინა.

სერენას კი, რომელიც სხვათა შორის ტიტულს იცავს, მთლად ამდენი არ უწვალია, მაგრამ ფლავია პენეტასთან პირველი სეტი მანაც დათმო. თუმც ამის შემდეგ უმცროს შავდას მეტოქისთვის შანსიც აღარ მიუცია და მომდევნო ორი პარტია დამაჯერებლად მოუგო.

ძალიან ხმაურიანი მეორე წრის შემდეგ, როცა ერთბაშად 14 განთესილი გაუყენეს შინის გზას, შედარებით სიწყნარე იყო კაცთა ბადეში. განსაკუთრებით მოულოდნელი არაფერი მომხდარა, რადგანაც ძირითადად ერთი დონის მეჩოგნეები ხვდებოდნენ ერთმანეთს.

იოლად იხეირა რაფაელ ნადალმა. გამოცდილ გერმანელ ნიკლას კიფერთან შეხვედრაში ესპანელმა სოლიდურად ითამაშა და დამაჯერებლადაც იმარჯვა. რაფა განსაკუთრებით შთამბეჭდავი საკუთარ მოწოდებაზე იყო — აკი, კიფერს ერთი ბრეიკ-პოინტიც არ ჰქონია. ისე, უნდა ვაღიაროთ, რომ ნადალი ჰარდზე აშკარად უმატებს და პროგრესი ასე თუ გააგრძელა, მალე შეიძლება, მაგარსაფარზეც ისეთ ძალად იქცეს, როგორიც თიხნარზეა.

სხვა მატჩებიდან ჯეიმს ბლეიკისა და ფრანგ სუპერვეტერან ფაბრის სანტოროს შორის გამართული ტრილერია გამოსაყოფი. 36 წლის გალი არაფრით იმჩნევს ასაკს და ისევ ძველებურ საინტერესო, ჩახლართული კომბინაციებითა და ორიგინალური დარტყმებით გაჯერებულ ჩოგბურთს ქადაგებს. ამის გამო სანტოროსთან თამაში არც ერთ ბობოლას არ უყვარდა და ახლაც ბევრი უფრთხის. ბლეიკიც მაგრად გაწამდა ფრანგის შეთავაზებული გამოცანების ამოხსნით და შვებით მხოლოდ მესამე სეტში ამოისუნთქა, როცა სანტოროს ფლორიდის თაკარა მზის ქვეშ გატარებული ორსაათნახევრის შემდეგ დაღლილობა დაეტყო.

„ჩოგბურთელი არ მეგულება, ფაბრისთან თამაში რომ სურდეს. მისგან ხომ ყოველთვის რაღაც ახალ-ახალი სიურიპრზებია მოსალოდნელი, რის გამოც თითქმის შეუძლებელია, წინასწარ გამოიცნო, რის გაკეთებას აპირებს. ამიტომაც ამ გამარჯვებით ფრიად ბედნიერი ვარ“ — განაცხადა ნამატჩევს ბლეიკმა.

კახა ლომაშვილი

ჩახნაშვილი ორ გაილიქსონს ვერ გადაახტა

მიყოლებით ორი გალიქსონის დაჯაბნა მაკა ჩახნაშვილმა ეგრეც ვერ მოახერხა და შესაბამისად, ამერიკის შეერთებულ შტატებში, ქალაქ ჰელმონდის მაგარსაფარზე ITF-ის ეგიდით გამართული 25-ათასიანი ტურნირის გამარჯვებული მასპინძელი გახდა.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს საუკეთესო ჩოგბურთელმა ქალმა ბოლოდროინდელი წარუმატებლობების შემდეგ მშვენიერი კვირა ჩაატარა, ზედიზედ ოთხი მეტოქე დაამარცხა და ფინალს უწია. ნახევარფინალში მაკამ 17 წლის ამერიკელ ჩელსი გალიქსონს სძლია, ფინალში კი მეტოქედ ჩელსის უფროსი დაიკო, 21 წლის კარლი გალიქსონი ერგო, ვინც ოდესღაც 174-ე იყო კლასიფიკაციაში, ამჟამად კი 542-ე ადგილზე იმყოფება.

სამწუხაროდ, ჩახნაშვილმა კარგად დაწყებული საქმე კრგად ვეღარ დაასრულა, 4:6 6:4 4:6 დამარცხდა და ტიტული ამერიკელს დაუთმო.

ანა და ძველი ლუჩიჩი

თურქეთის ხმელთაშუაზღვისპირა კურორტ ანთალიაში ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის ეგიდით, კაცთა და ქალთა პატარა, 10-ათასიანი ტურნირები ტარდება და მონაწილეთა შორის ქართველების სიმრავლეც იყო.

დიახ, იყო, რადგანაც ჩვენებურთა უმრავლესობა საკვალიფიკაციო ეტაპზე დამარცხდა. კაცებში ქართველთაგან სერგო სიხარულიძე თამაშობდა, ვისაც პირველივე მატჩში ავსტრიელმა ფლორიან ვარნლეიტერნმა 7:5 6:0 სძლია.

ქალთა კვალიფიკაციაში ოთხი ჩვენებური მონაწილეობდა. ამათგან, 16 წლის ანა ჯიქია პირველივე წრეში 1:6 5:7 დამარცხდა ებრაელ ჩენ ასტრუგოსთან; 17 წლის სალომე უგრეხელიძემ და 18 წლის სოფო შარანგიამ თითო მეტოქეს სძლიეს და მერე კი თავად წააგეს; უგრეხელიძემ რუს ნადეჟდა სამოილოსთან 6:1 7:5 გამარჯვების შემდეგ, 2:6 2:6 დათმო უკრაინელ ანა ლარკინასთან, ხოლო შარანგიამ ბელარუს დიანა აქსინეს მოუგო 6:1 6:2 და შემდეგ, მსგავსი ანგარიშით თავად წააგო რუს მარია კუზნეცოვასთან.

ერთადერთი, ვისაც კვალიფიკაციიდან ძირითად ბადეში მოხვედრის შანსი შერჩა, 18 წლის თეონა ცერცვაძეა, რომელმაც რუმინელ ირინა კრისტინა ტაჩეს 6:1 6:0 გადაუარა, მერე უნგრელ კრილა არგელანს სძლია 6:4 4:6 6:3, გადამწყვეტ შეხვედრაში კი სლოვაკ კატარინა მარასკოვას დაუპირისპირდება.

თუ ცერცვაძე ძირითად ბადეში შევა, არ არის გამორიცხული, ეგრევე სოფო ქვაცაბაიას შეხვდეს. ეს უკანასკნელი ძირითად ბადეშია და წილისყრის წყალობით, პირველ წრეში ერთ-ერთ კვალიფიკანტს უნდა დაუპირისპირდეს.

კიდევ ორი ქართველი ჩოგბურთელი ამ დღეებში ამერიკის შეერთებულ შტატებში, ალაბამას შტატის ქალაქ პელემის თიხნარზე ITF-ის ეგიდით მიმდინარე 25-ათასიან ტურნირზე თამაშობს. ანა ტატიშვილი და სალომე დევიძე საკვალიფიკაციო ეტაპზე მოხვდნენ და ტატიშვილი, ვინც პირველ წრეში თავისუფალი იყო, მეორეში ეგრეკვე დამარცხდა ოდესღაც ვუნდერკინდად მიჩნეულ ხორვატ მარიანა ლუჩიჩთან. ეს ლუჩიჩი შორეულ 1999 წელს WTA-ს რეიტინგში 46-ე იყო, ახლა კი 713-ეზე დაქვითებული, ცდილობს, ძველი პოზიციების დაბრუნებას.

ხორვატისა და ქართველის შეხვედრა სამ სეტად გაიწელა და ლუჩიჩის გამარჯვებით — 6:2 4:6 6:3 დასრულდა.

რაც შეეხება დევიძეს, მას ერთი გამარჯვებაღა სჭირდება ძირითად ბადეში მოსახვედრად. პირველ წრეში სალომემ იაპონელ ტომიკო სუგანოს 6:1 6:4 მოუგო, შემდეგ 6:4 3:6 6:4 დაამარცხა ინდოელი შიხა უბეროი, გადამწყვეტ თამაშს კი 15 წლის ბელარუს თინეიჯერ ანა ორლიკთან გამართავს.

ნიკოლოზ ბასილაშვილის ექსპრესი

ნიკოლოზ ბასილაშვილმა ამერიკაში გამართულ „ტენის ექსპრესზე“ პირველი ადგილი დაიკავა. ტურნირი 18-წლამდელ ჩოგბურთელთა შორის ჩატარდა. ქართველი სპორტსმენი ჯერ 16 წლისაა, მაგრამ მან ტურნირის განმავლობაში მხოლოდ ერთი სეტი წააგო. ბასილაშვილი ყველას ადვილად გაუსწორდა, მხოლოდ ფინალში გადახდა დაძაბული ბრძოლა. მეოთხედფინალში მან მე-9 ჩოგნად განთესილი ამერიკელი პოვიცკინი ჩამოიშორა გზიდან — 6:2 6:1. ნახევარფინალშიც ასევე მასპინძელ კრერს სძლია — 6:0 6:2.

ფინალურ შეხვედრაში ქართველმა კიდევ ერთი იანკი დაჯაბნა. რეიმონდ სარმიენტომ დიდი წინააღმდეგობა გაუწია ბასილაშვილს, მაგრამ საბოლოოდ მაინც ახალგაზრდა ქართველმა ტალანტმა იმარჯვა — 4:6 7:6 6:2.

ზურაბ მიგრიაული

მეფის სიხარულები

პედროსამ და ლორენცომ ხერესი დალიეს

დანიელ პედროსა

დანიელ პედროსამ და ხორხე ლორენცომ არ გააწბილეს ხერესის ავტოდრომის ტრიბუნებზე, თავიანთი მეფის, ხუან კარლოს პირველის თამადობით შეკრებილი ათიათასობით ესპანელი, ბრწყინვალე სარბოლო უიქენდი მოიწყვეს და მეფე და მისი ქვეშევრდომნი კმაყოფილნი გაუშვეს სახლებში.

ხერეს დე ლა ფრონტერას ტრეკმა საგზატკეცილო-წრიულ მოტორბოლაში მსოფლიოს 2008 წლის ჩემპიონატის მეორე ეტაპს უმასპინძლა. სამეფო, ანუ „მოტოჯიპის“ კლასში ფავორიტებად თავიდანვე პედროსა და ლორენცო ითვლებოდნენ, მიუხედავად იმისა, რომ მათ წინააღმდეგ ისეთ ასებს უნდა ებრძოლათ, შეიდგზის ჩემპიონი ვალენტინო როსი, შარშანწინდელი ჩემპიონი ნიკი ჰეიდენი და მოქმედი ჩემპიონი კეისი სტოუნერი რომ არიან.

სტოუნერმა შარშანდელი ფანტასტიკური სეზონის შემდეგ წლევანდელი ჩემპიონატიც გამარჯვებით დაიწყო, მაგრამ ხერესში ახალგაზრდა ავსტრალიელს თავიდანვე აერია დავთრები — ვერც კვალიფიკაციაში ივარგა, უშუალოდ რბოლის დროსაც რამდენიმე უხეში შეცდომა დაუშვა და ფინიშს, ოდენ მეთერთმეტემ უწია.

კვალიფიკაცია 250-იანთა კლასში შარშანდელმა ჩემპიონმა და წლევანდელი „მოტოჯიპის“ ყველაზე ახალგაზრდა მრბოლმა ლორენცომ მოიგო თავისი „იამაჰათი“ და ესპანურ ტრიუმფს ჩაუყარა საფუძველი.

საბოლოო ჯამში ლორენცო მესამე ადგილს დასჯერდა, პირველობა კი პედროსამ არ დაუთმო არავის და ქომაგები აღაფრთოვანა.

ფინიშს მეორემ როსიმ უწია და ეს იყო დიადი „დოქტორის“ საიუბილეო, მე-100 პოდიუმი. ჰეიდენი მეოთხე ადგილს დასჯერდა, მეხუთეზე კი სრულიად მოულოდნელად, ვეტერანი იტალიელი ლორის კაპიროსი გავიდა.

აღსანიშნავია, რომ ხერესში „ჰონდამ“ და „იამაჰამ“ პირწმინდად აჯობეს „დუკატის“. პედროსა და ჰაიდენი „ჰონდას“ „რაშებით“ დაქრიან, როსი და ლორენცო „იამაჰას“ წარმოადგენენ, „დუკატის“ ლიდერები, სტოუნერი და მარკო მელანდრი კი მეთერთმეტე-მეთორმეტე ადგილებით დაკმაყოფილდნენ. თანაც, სტოუნერი გენერალურ კლასიფიკაციაშიც, ერთბაშად პირველიდან მეოთხე ადგილზე დაქვეითდა. თავში კი პედროსასა და ლორენცოს ესპანური წყვილია.

მეტად საინტერესო და დრამატული გამოდგა „საშუალო“, 250 კუბური სანტიმეტრი ძრავების მქონე მოტოთა კლასში შეჯიბრიც. უკვე ბოლო წრე იყო, მარკო სიმონჩელი და ალვარო ბატისტა გვარიანად უსწრებდნენ დანარჩენებს და ერთმანეთში არკვევდნენ გამარჯვებულის ვინაობას. ზედმეტი მოუვიდათ — ერთმანეთს შეეჯახნენ, ტრასიდან გადავარდნენ და პირველობას ვინ ჩივის, საერთოდ უქულოდ დარჩნენ. მოწინააღმდეგეთა [illegible] რცხით ფინელმა მიკა კალიომ ახერა და ციდან ჩამოვარდნილი [illegible] რველობა შეირგო [illegible]

„უმცროს“, 125-იანთა კლასში ფა[illegible] ალიელმა სიმონე კორსიმ იმარჯვა. მსოფლიოს შარშანდელი ჩემპიონი, უნგრელი გაბორ ტალმაში კი უქულოდ დარჩა.

ძახა ლომაძე

მსოფლიოს ჩემპიონატი საგზატკეცილო-წრიულ მოტორბოლაში
II ეტაპი. ხერესი. ესპანეთი. 30 მარტი

მოტოჯიპი (27 წრე)

1. დანიელ პედროსა (ესპანეთი, „ჰონდა“)	45 წთ 35,121 წმ
2. ვალენტინო როსი (იტალია, „იამაჰა“)	45.38,004
3. ხორხე ლორენცო (ესპანეთი, „იამაჰა“)	45.39,460
4. ნიკი ჰაიდენი (აშშ, „ჰონდა“)	45.39,460
5. ლორის კაპიროსი (იტალია, „სუძუკი“)	46.02,645

საერთო ჩათვლა: 1. პედროსა 4 ქულა; 2. ლორენცო 36; 3. როსი 31; 4. კეისი სტოუნერი (ავსტრალია, „დუკატი“) 30; 5. ანდრეა დევისიოზო (იტალია, „ჰონდა“) 21

250 კმ.სმ (26 წრე)

1. მიკა კალიო (ფინეთი, KTM)	45 წთ 27,908 წმ
2. მატია პასინი (იტალია, „აპრილია“)	45.32,185
3. იუკი ტაკაჰაში (იაპონია, „ჰონდა“)	45.32,195
4. ჰიროში აოიამა (იაპონია, „ჰონდა“)	45.32,784
5. ექტორ ბარბერა (ესპანეთი, „აპრილია“)	45.33,876

საერთო ჩათვლა: 1. პასინი 45 ქულა; 2. კალიო 41; 3. ბარბერა 31; 4. ტაკაჰაში 27; 5. ალექს დებონი (ესპანეთი, „აპრილია“) 23

125 კმ.სმ (23 წრე)

1. სიმონე კორსი (იტალია, „აპრილია“)	41 წთ 46,100 წმ
2. ნიკოლას ტეროლი (ესპანეთი, „აპრილია“)	41.49,306
3. ბრედ სმითი (ბრიტანეთი, „აპრილია“)	41.51,086
4. შტეფან ბრადლი (გერმანია, „აპრილია“)	41.51,122
5. პაბლო ნიეტო (ესპანეთი, KTM)	41.52,354

საერთო ჩათვლა: 1. კორსი 34 ქულა; 2. ბრადლი 29; 3. ტეროლი 26; 4. სერხიო გადეა (ესპანეთი, „აპრილია“) 25; 5. მიშელ დი მელო (საფრანგეთი, „დერბი“) 20

ყველა გზის მონსტრი

დიეგო მარადონა სებასტიენ ლოებთან გასეირნებით აღფრთოვანებული დარჩა

ზედიზედ მეორე, სეზონის ოთხი რალიდან მესამე, არგენტინაში მეოთხე და კარიერაში კი ოცდამეცხრამეტე გამარჯვება მოიპოვა სებასტიენ ლოებმა და წლევანდელი ჩემპიონატის გენერალურ კლასიფიკაციასაც ჩაუდგა სათავეში.

დიადი ფრანგისთვის არა აქვს მნიშვნელობა, გზა ასფალტიანია თუ ქვა-ღორღიანი, წვიმს და ტალახია, თუ მზე აჭერს და მტვერია, ის ყველგან იგებს და ამტკიცებს, რომ ყველაზე ძლიერია და გიგანტური ნაბიჯებით მიიწევს სარეკორდო, ზედიზედ მეხუთე საჩემპიონო ტიტულისკენ.

ლოებს არგენტინაში წინა სამ ჯერზეც მოეგო და ამჯერადაც გამარჯვებისთვის იყო იქ ჩასული. რალის დაწყებამდე ფრანგმა არგენტინელთა ლეგენდა დიეგო მარადონა მოისვა გვერდით თავის „სიტროენში“ და ფეხბურთის ჯადოკაცს სულ ის აძახებინა, ეს მონსტრი ვინ ყოფილაო.

ლოები მართლაც რომ რალის მონსტრია და მარკუს გრონჰოლმის წასვლის შემდეგ ყველა დანარჩენს ერთი თავით აღემატება.

წლევანდელი არგენტინული რალი უყმური ამინდის თანხლებით წარიმართა. წვიმა, ნისლი, ტალახი და როდესაც კორდობას შემოგარენში მრბოლებმა პირველი სპეცმონაკვეთები გალიეს, ლოები თითქმის წუთს აგებდა „ფორდის“ ფინელ მიკო ჰირვონენთან. საწყისი ოთხი დოპიდან სამი, სწორედ ჰირვონენმა მოიგო, ერთიც მისმა თანაგუნდელ-თანამემამულე იარი-მატი ლატვალამ. ლოები თითქოს ჩრდილში იყო, მაგრამ ზესტაბილურმა, ამჯერადაც უშეცდომო რბოლა ჩაატარა, განსხვავებით, თავისი ფინელი კონკურენტებისგან.

უკვე მეხეთე სპეცმონაკვეთზე ჰირვონენს ავარია შეემთხვა, რის გამოც ოც წუთზე მეტი დაკარგა და ავტომატურად ამოვარდა პირველობის მაძიებელთა სიიდან. შემდეგ, უკვე ლატვალას შეემთხვა მარცხი და საბოლოო ჯამში ახალგაზრდა ფინელმა, ოდენ მე-12 ადგილი დაიკავა.

ამასობაში ლოები დაწინაურდა, მეორეზე კი მსოფლიოს ექს-ჩემპიონი, ნორვეგიელი პეტერ სოლბერგი იყო, რომელმაც ლატვალასთან და ლოებთან ერთად ყველაზე მეტი, ხუთი სპეც-მონაკვეთი მოიგო, მაგრამ რად გინდა — უავარიოდ ვერც ამ ჩრდილოელმა გაძლო და ამას რა უჭირს, ფინელებისგან განსხვავებით, საერთოდ ვერ უწია ფინიშს.

WRC WORLD RALLY CHAMPIONSHIP
მსოფლიოს ჩემპიონატი რალიში
IV ეტაპი. არგენტინის რალი.კორდობა. 28-30 მარტი

1. სებასტიენ ლოები (საფრანგეთი, „სიტროენი“)	41 წთ 05 წთ 48,6 წმ
2. კრის ატკინსონი (ავსტრალია, „სუბარუ“)	+2 წთ და 33,2 წმ
3. დანიელ სორდო (ესპანეთი, „სიტროენი“)	+4.04,5
4. კონრად რაუტენბახი (ზიმბაბვე, „სიტროენი“)	+20.03,5
5. მიკო ჰირვონენი (ფინეთი, „ფორდი“)	+25.15,3
6. ფედერიკო ვილაგრა (არგენტინა, „ფორდი“)	+27.42,0
7. ჯიჯი გალი (იტალია, „ფორდი“)	+27.51,8
8. ანდრეას აიგნერი (არგენტინა, „მიცუბიში“)	+28.59,3

საერთო ჩათვლა

1. ლოები 30 ქულა; 2. ჰირვონენი 25; 3. ატკინსონი 22; 4. იარი-მატი ლატვალა (ფინეთი, „ფორდი“) 16; 5. გალი 11; 6. სორდო 9; 7. პეტერ სოლბერგი (ნორვეგია, „სუბარუ“) 9; 8. ფრანსუა დიუვალი (ბელგია, „ფორდი“) 5; 9. რაუტენბახი 5; 10. ვილაგრა 5

კონსტრუქტორთა თასი

1. ფორდი 44; 2. სიტროენი 41; 3. სუბარუ 33; 4. ფორდ-სტობარტი 22; 5. ფორდ-მუნჩი 10; 6. სუძუკი 5

არგენტინის რალის გამარჯვებულები 1980 წლიდან

1980 ვალტერ რიორლი (გერმანია, „ფიატი“)	1995 ხორხე რეალდი (არგენტინა, „ლანჩა“)
1982 არ ჩატარებულა	1996 ტომი მაკინენი (ფინეთი, „მიცუბიში“)
1983 ჰანუ მიკოლა (ფინეთი, „აუდი“)	1997 ტომი მაკინენი (ფინეთი, „მიცუბიში“)
1984 სტივ ბლომკვისტი (შვედეთი, „აუდი“)	1998 ტომი მაკინენი (ფინეთი, „მიცუბიში“)
1985 ტიმო სალონენი (ფინეთი, „პუჟო“)	1999 იუჰა კანკუნენი (ფინეთი, „სუბარუ“)
1986 მიკი ბიაზონი (იტალია, „ლანჩა“)	2000 რიჩარდ ბარნსი (ბრიტანეთი, „სუბარუ“)
1987 მიკი ბიაზონი (იტალია, „ლანჩა“)	2001 კოლინ მაკრეი (ბრიტანეთი, „ფორდი“)
1988 ხორხე რეკალდი (არგენტინა, „ლანჩა“)	2002 კარლოს საინსი (ესპანეთი, „ფორდი“)
1989 მიქაელ ერიკსონი (იტალია, „ლანჩა“)	2003 მარკუს გრონჰოლმი (ფინეთი, „პეჟო“)
1990 მიკი ბიაზონი (იტალია, „ლანჩა“)	2004 კარლოს საინსი (ესპანეთი, „სიტროენი“)
1991 კარლოს საინსი (ესპანეთი, „ტოიოტა“)	2005 სებასტიენ ლოები (საფრანგეთი, „სიტროენი“)
1992 დიდიე ორიოლი (საფრანგეთი, „ლანჩა“)	2006 სებასტიენ ლოები (საფრანგეთი, „სიტროენი“)
1993 იუჰა კანკუნენი (ფინეთი, „ტოიოტა“)	2007 სებასტიენ ლოები (საფრანგეთი, „სიტროენი“)
1994 დიდიე ორიოლი (საფრანგეთი, „ტოიოტა“)	2008 სებასტიენ ლოები (საფრანგეთი, „სიტროენი“)

შედეგად, მეორე ადგილზე, ისევე როგორც წინა, მექსიკურ ეტაპზე, კვლავ ავსტრალიელი კრის ატკინსონი გავიდა და ამის წყალობით გენერალური კლასიფიკაციის მესამე საფეხურზეც აღზევდა.

მესამე ადგილი ლოების ესპანელმა თანაგუნდელმა დანიელ სორდომ დაიკავა გამარჯვებულთან ოთხწუთიანი ჩამორჩენით, პირველი სამეულის შემდეგ კი ნამდვილი უფსკრული იყო — მეოთხეზე გასული ზიმბაბველი კონრად რაუტენბახი ლოებს 20 წუთზე მეტით ჩამორჩა. ჰირვონენმა კი ინდენი ქნა, მეხუთე ადგილი მანიც დაიკავა, თავის აქტივს ოთხი ქულა შემატა და 25 ქულით გენერალურ კლასიფიკაციაში მეორეა ლოებთან ხუთქულიანი ჩამორჩენით.

რალის ქარავანი კი ორი ლათინოამერიკული ეტაპის შემდეგ არაბეთს ეწვევა — ჩემპიონატის მეხუთე ეტაპს 24-27 აპრილს იორდანია უმასპინძლებს.

ძახა ლომაძე

უკან დარჩა ტალახი

კენენისა ბეკელე ისევ მიწის მეფეა



შარშან ინდოეთის ოკეანის პირას, კენიურ მომბასაში ნაწვნევი მარცხი ისტორიას ჩაბარდა. სპორტსმენობაშივე ლეგენდად ქცეულმა, სულ რაღაც 25 წლის ეთიოპიელმა სტაიერმა კენენისა ბეკელემ შოტლანდიის დედაქალაქ ედინბურგში კროსის მსოფლიოს ჩემპიონატი მოიგო და გრუნტის მეფის გვირგვინი დაიბრუნა, რომლის უცვლელი მპყრობელიც 2002-06 წლებში იყო.

მომბასას ცხელ მიწაზე წაქცევა და ვერდასრულებული სირბილი ძალლის ნაკბენივით მწარედ ახსოვდა ბეკელეს და ესეც დაეხმარა, საედინბურგო განწყობაში ლითონი რომ ჩაედნო. ახლა მან ყველას და ყველაფერს აჯობა, არადა პრობლემები შოტლანდიის მიწაზე ფეხის დადგმამდე მიეძალა — ადის აბებადან ლონდონში ჩაფრენილს ჰითროუს აეროპორტი რეკონსტრუქციის გამო აყრილ-დაყრილი დახვდა. ეთიოპმა ვერ მოასწრო ედინბურგის თვითმფრინავზე შეხტომა და მთელი ღამე იქვე გაატარა. ედინბურგში სირბილის წინა დღეს ჩავიდა, მაგრამ ვაი ამ ჩასვლას, სქოთური საჭმელი ვერ შეირგო და კუჭი აეშალა. მერე ამბობდა, ღამე თითქმის არ მეძინა, სამოთხჯერ მაინც გავედი იმ საქმეზეო. დილით რომ გაიღვიძა, შოტლანდია უსაზიზღრესი ჩრდილოური ამინდით „შეეგება“. ქროდა ძლიერი ქარი და სირბილის დროს ღრუბელმა იმდენი წყალი გადმოასხა თავზე, რამდენიც ეთიოპიაში, მგონი, მთელი წლის განმავლობაში არ მოდის... ამ ყველაფერს ისიც დაერთო, რომ სირბილისას, სადღაც მეოთხე კილომეტრზე ფეხსაცმელი წასძვრა და მის ჩასაცმელად შეჩერება მოუხდა. მოკლედ, საწყალ ეთიოპს, ერთი, ქუჩაში ხულიგნები არ შეხვედრიან, თორე სხვა ყველაფრის გადატანა მოუხდა და მაინც მოახერხა გამარჯვება.

სანამ ფეხსაცმლის შესაკრავად ჩაიმუხლებოდა, ბეკელე პირველი იყო, მერე კი ორი კენიელის — ლეონარდ კომინისა და ჯოზეფ ებუიას წინ გაშვება მოუხდა. ამათ. მალე შეუერთდა ერიტრეელი ჭაბუკი ზერსენაი ტადესე, რომელმაც შარშან მომბასაში ბეკელეს წაფორხილებით ისარგებლა და მსოფლიოს ჩემპიონი გახდა. ოთხეულმა 12-კილომეტრიანი დისტანციის მეცხრე კილომეტრზე გვარიანად ჩამოიტოვა უპრეტენზიო მორბენალთა მასა და გამართა შიდა დუელი. ტედერე და კენიელები ერთმანეთს ენაცვლებოდნენ მოიერიშე ჯგუფის თავში, ბეკელე კი ბოლოში გაყურსულიყო, მოწინააღმდეგეთა ყურადღებას ადუნებდა და თავის წამს ელოდა. ეს წამი ბოლო კილომეტრზე დადგა.

დიდი ეთიოპი გაქანდა და რა გაქანდა, მდევრები კი ვეღარ მიჰყვნენ. აი, ასეთი გაწამაწიით და გიჟურ ვითარებაში მოიპოვა კროსში მეექვსე და სარეკორდო ტიტული ოლიმპიურმა და მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონმა. მან გადაასწრო ხუთგზის ჩემპიონ კენიელებს — ჯონ ნგუგის და პოლ ტერგატს. ფინიშის ლენტა რომ შეწყვიტა და შემდეგ გულშემატკივართა არმიას თავდაღწეულმა ცოტა ამოისუნთქა, აღიარა, ეს ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გამარჯვებაა ჩემს ცხოვრებაშიო.

კაცთა შორის მეორე ადგილი კომენს ერგო, ექსჩემპიონი ტადესე კი მესამეს დასჯერდა.

ეთიოპიამ დაიბრუნა გრუნტის ჩემპიონი და ეს დიახაც, საამაყო ექნება მის ქვეყანას, მაგრამ ედინბურგში იყოჩაღეს ბეკელეს სხვა თანამემამულეებმაც. ქალთა შორის იჩემპიონა კროსის 2005 და 2006 წლებში მომგებმა ტირუნეშ დიბაბამ, რომელიც ბოლოხანს ცოტა ჩრდილში მოექცა, თანამემამულე და მისი მარადიული მეტოქე მესერეტ დეფარისგან განსხვავებით. მაგრამ ახლა ეს უკანასკნელი ედინბურგში არ ჩასულა და დიბაბამ გამოანათა. ამ ორს იქნებ შეთანხმებაც აქვს დადებული, რომ ერთმანეთს ხელს არ შეუშლიან, ყოველ შემთხვევაში, შორიდან ასეთ შთაბეჭდილებას ტოვებს მათი რიგრიგობით გამოსვლა ამა თუ იმ ტურნირზე. ქალთა შორის მეორე ადგილზე გავიდა ასევე ეთიოპი მესტავეტ ტუფა, მესამე კი კენიელი ლინეტ ჩეკპოვეი. მასაი იყო.

ეთიოპიელებმავე მოიგეს ახალგაზრდათა გარბენებიც და 1994 წლის შემდეგ პირველად მოხდა, რომ ოთხივე გამარჯვება ერთი ქვეყნის წარმომადგენლებს დარჩათ. მაგრამ, მკითხველო, ნუ იფიქრებ, რომ ედინბურგის ჰოლირუდ პარკში, იმ წვიმასა და ტალახში, 20 000 ადამიანი მხოლოდ ეთიოპთა შიდა შეჯიბრის სანახავად მივიდა. იქ სხვა ქვეყნებიც იყვნენ წარმოდგენილი და ღირსეულადაც. ასე მაგალითად, კენენისა ბეკელეს გამარჯვების მიუხედავად, კაცთა გუნდური გარბენი კენიელებმა მოიგეს და ეთიოპიელები მხოლოდ მეორენი იყვნენ (მესამეზე ყატარის გუნდი გავიდა). ქალთა შორის კენიელებმა ვეღარ აჯობეს ეთიოპებს და მეორე ადგილს დასჯერდნენ. აქ მესამე ავსტრალიის გუნდი იყო.

კოტე ყორშია

ტირუნეშ დიბაბა

კრის ჰოი

მანჩესტერი ბრიტანული ქალაქია

მთელი წინა კვირის მანძილზე ინგლისში, მანჩესტერის ველოდრომის ტრეკზე მსოფლიოს ჩემპიონატი მიდიოდა სატრეკო ველოსპორტში. ჩემპიონატმა მასპინძლების სრული ტრიუმფით ჩაიარა — ბრიტანელმა ველომრბოლებმა ერთბაშად 9 ოქროს მედალი მოიპოვეს, ანუ ყოველი მეორე სახეობა მოიგეს.

განსაკუთრებით სქოთი სპრინტერი კრის ჰოი გამოირჩა, რომელმც სპრინტსა და კეირინში იპირველა და მსოფლიოს ჩემპიონატებზე მოპოვებულ ოქროს მედლების რიცხვი ცხრამდე აიყვანა.

თავად ჰოიმ სპრინტში გამარჯვებას გაუსვა ხაზი. მეოთხედფინალურ ეტაპზე შოტლანდიელმა, მსოფლიოს რეკორდასმენი და ბოლო წლებში დაუმარცხებელი ჰოლანდიელი თეო ბოსი დაჯაბნა და, ამის შემდეგ ჩემპიონობა, უკვე ადვილი იყო, ასე განაცხადა.

გუნდურ ჩათვლაში ბრიტანელების შემდეგ ჰოლანდიელები მიდიან, რომლებმაც სამი ოქროს და სულ კი ცხრა მედალი მოიპოვეს. საკარაუდოდ, სწორედ ბრიტანელები და ჰოლანდიელები იქნებიან მთავარი ფავორიტები პეკინის ოლიმპიადაზეც და მათ დავაში ჩარევას ფრანგები, ბელარუსები და ავსტრალიელები თუ მოახერხებენ.

მსოფლიოს სატრეკო ჩემპიონატი. მანჩესტერი. დიდი ბრიტანეთი

ბიცები

სპრინტი: 1. კრის ჰოი (დიდი ბრიტანეთი); 2. კევინ სირო (საფრანგეთი); 3. მიშელ ბურგენი (საფრანგეთი)
გუნდური გამოდევნება 4 კმ: 1. დიდი ბრიტანეთი 3 წთ 56,322 წმ (მსოფლიოს რეკორდი); 2. დანია 3.59,381; 3. ავსტრალია 4.00.089
რბოლა ქულებზე. 40 კმ: 1. ვასილი კირიენკო (ბელარუსი) 24 ქულა; 2. კრისტოფ რიბლონი (საფრანგეთი) 23; 3. პეტერ შეპი (ჰოლანდია) 19
გუნდური სპრინტი: 1. საფრანგეთი 43,514 წმ; 2. დიდი ბრიტანეთი 43,910; 3. ჰოლანდია 43,958
სპრეტჩი. 15 კმ: 1. ალექსანდრ ლისოვსკი (ბელარუსი); 2. ვინ სტრეტინგა (ჰოლანდია); 3. როჯერ კლიუგე (გერმანია)
ინდივიდუალური გამოდევნება 4 კმ: 1. ბრედლი ვიგინსი (დიდი ბრიტანეთი); 2. ჯენინგ ჰეიზინგა (ჰოლანდია); 3. ალექსეი მარკოვი (რუსეთი)
მედისონი: 1. მარკ კავენდიში, ბრედლი ვიგინსი (დიდი ბრიტანეთი) 19 ქულა; 2. როგერ კლიუგე, ოლაფ პოლაკი (გერმანია) 13; 3. მიხაელ მორკოვი, ალექს რასმუსენი (დანია) 11
კეირინი: 1. კრის ჰოი (დიდი ბრიტანეთი); 2. თეო მიულდერი (ჰოლანდია); 3. ხრისტოს ვოლი კასისი (საბერძნეთი)
ადგილიდან ჰიტი 1000 მ: 1. თეო მულდერი (ჰოლანდია) 1 წთ 01,332 წმ; 2. მიშელ დალმეიდა (საფრანგეთი) 1.01,514; 3. ფრანსუა პერვისი (საფრანგეთი) 1.01,578
ომნიუმი: 1. ჰაიდენ გოდფრი (ახ. ზელანდია) 19 ქულა; 2. ლეგ ჰოვარდი (ავსტრალია) 28; 3. ალექსანდ ლისოვსკი (ბელარუსი) 35

ქალები

გუნდური სპრინტი: 1. დიდი ბრიტანეთი 33,621 წმ; 2. ჩინეთი 34,233; 3. გერმანია 34,236
ინდივიდუალური გამოდევნება 3 კმ: 1. რებეკა რომერო (დიდი ბრიტანეთი) 3 წთ 30,501 წმ; 2. სარა ჰამერი (აშშ) 3.37,006; 3. კეტი მაქტირი (ავსტრალია) 3.37,347
ადგილიდან ჰიტი 500მ: 1. ლისანდრა გუერა როდრიგესი (კუბა); 2. სიმონა კრუპეიკაიტე (ლიტვა); 3. სანდი კლერი (საფრანგეთი)
გუნდური გამოდევნება 3 კმ: 1. დიდი ბრიტანეთი 3 წთ 22,415 წმ (მსოფლიოს რეკორდი); 2. უკრაინა 3.29,744; 3. გერმანია 3.29,960
სპრინტი: 1. ვიქტორია პენდლტონი (დიდი ბრიტანეთი); 2. სიმონა კლუპეიკაიტე (ლიტვა); 3. შენაი რიდი (აშშ)
რბოლა ქულებზე. 30 კმ: 1. მარიანა ვოსი (ჰოლანდია) 33 ქულ; 2. ტინა შმიდტი (დანია) 25; 3. ვერა კარერა (იტალია) 20
კეირინი: 1. ჯენი რიდი (აშშ); 2. ვიქტორია პენდლეტონი (დიდი ბრიტანეთი); 3. კრისტინ მახი (გერმანია)
სპრეტჩი: 1. ელეონორა ვან დიიკი (ჰოლანდია); 2. უმარ გონსალეს ვალდივესო (კუბა); 3. ბელინდა ჰოსი (ავსტრალია)

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი დარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი ზვიად მოსიაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე ნუგზარ ლოლაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ყორყოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვიაჩესლავ გასპაროვი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ვლადიმერ ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: თამაზ მიგრიაული, ირაკლი პერტაია, გრიგოლ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლარაოვა, ლიანა ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, თამარ ქინქლაძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208
ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ფურცელი
http://www.sarbieli.com.ge

სარედაქციო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00